№ 43
(11 192)
3 – 5 ივნისი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა კავშირი საპარლამენტო არჩევნებისთვის სერიოზულად მოემზადება

საქართველოს პარლამენტის წინა არჩევნებში 48 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა და მათგან მხოლოდ 11-მა მოიპოვა მანდატი. მათ შორისაა საქართველოს სპორტსმენთა კავშირი. ერთი სიტყვით, ეს კავშირი საპარლამენტო პარტია გახდა თავისი ორი წარმომადგენლით და გარკვეული უპირატესობაც გააჩნია მომავალი არჩევნებისათვის. ახლა დღის წესრიგში დგას კავშირის გაფართოება, ორგანიზაციული საკითხების სრულყოფა და ახალი არჩევნებისთვის დინჯი და მიზანმიმართული მზადება. ვარაუდობენ, რომ ამიერიდან იგი გახდეს „სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა კავშირი“ და სავსებით შესაძლებელია, ერთ-ერთი ყველაზე სოლიდურ ძალად იქცეს ქვეყანაში – შესაბამისად გაცილებით მეტმა დეპუტატობის კანდიდატმა მოიპოვოს ადგილი ახალ პარლამენტში.

საგენტო „ბუმათე“

ნომერშია:

- საქართველოს სპორტული სამყარო პოლიტიკაში უფრო აქტიურად შეაბიჯებს.
- „სამართალმა პური ჭამა“ – თქვეს ბოლნისელებმა
- სფფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატი?
- საგანგაშო სიგნალი ასპინძიდან და გარდაბნიდან.
- ქართული სპორტის ჭირისუფლები
- ახალი წინადადება...
- ქართველი სპორტსმენები შინ და გარეთ...
- უცხოეთის ფეხბურთისა და სპორტის სხვა სახეობების ახალი ამბები
- კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...

ბოლნისელი გულშემატკივრები: ნაბიჯი გვერდზე გადავდოთ, ერთად ვიღვაწოთ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ!

პირველი ჯგუფის საგზურისათვის

ბოლნისის (სიონი) – ხაშურის (ივერია) 0-0, პენ. 4-3

სიონი: დალაქიშვილი, ტარტარაშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ბერიძე, მ. სამხარაძე, გოგოლაძე, ჯაფარიძე (ფოფხაძე), ჯ. წიკლაური, ჯაგიდისი (თვალაბეიშვილი), გაგუა.
ივერია: ხვედელიძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ლომიძე, ჯიკაევი, მინაძე, უკლება, მოსაიშვილი, ტილკავაშვილი, ქობელაშვილი, ბაბულაიძე.
გაფრთხილება: დალაქიშვილი, შაკიაშვილი, გაგუა, ნეკერაშვილი, ჯიკაევი.
მსაჯი: ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

შეხვედრა „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა და, წვიმის მიუხედავად, ორივე გუნდის გულშემატკივრები მრავალად იყვნენ მეორე იარუსის დასაელეთის ტრიბუნაზე. მომქანცველი გადათამაშება ხაშურის გუნდს აძლევდა შანსს, I ჯგუფის საგზური მოეპოვებინა, მაგრამ მათმა მცდელობამ და შედეგმა ერთმანეთს ვერ „აბაუეს“. „ივერიას“ შემადგენლობაში თერთმეტივე ძირითადი ფეხბურთელი იყო, აი, ქვემოქართლელთა „ეშელონში“ კი წამყვან მოთამაშეთა ნაკლებობა იგრძნობოდა. მათმა ლიდერმა ტყავაძემ „გურიასთან“ შეხვედრაში წითელი ბარათი დაიმსახურა, მცველ ჩომახიძეს ტრამვა აწუხებდა, ტანმაღალმა ბიწაძემ კი გუნდის პრეზიდენტის ლოგიკით, გურული ფეხბურთელების წინააღმდეგ სუსტად ითამაშა და ის ერთადერთი გაშვებული გოლიც მისი ბრალი იყო. შერისხული ფეხბურთელის ადგილი დალაქიშვილმა დაიკავა. მისი დიდი დამსახურებაა, მომავალი სეზონიდან „სიონი“ კვლავ რომ უძლიერესთა ლიგაში იასპარეზებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბოლნისურ კლუბში უაღრესად დაძაბული ატმოსფერო სუფევდა. ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „გურიასთან“ უეცარი მარცხის შემდეგ ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახეს – ისინი ხომ მთავარი მწვრთნელის გარეშეც გამოვიდნენ მოედანზე. ხაშურელებს კი ასე ვთქვათ, დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ, ცხადია, წინ გადადგმულ ნაბიჯზე უარს არ იტყოდნენ – მათ სურდათ უწინდელი იმიჯის დაბრუნება გულშემატკივართა თვალში. პირველი ნახევრის მეათე წუთიდან ხაშურელებმა ტერიტორიულ უპირატესობას მიაღწიეს და „ივერიას“ ბევრად უფრო მეტი საგოლე მომენტიც ჰქონდა. პირველი რეალური საფრთხე მე-19 წუთზე ხაშურელმა ტილკავაშვილმა შექმნა, იგი საჯარიმოში ბურთიანად შეიჭრა, მაგრამ ბოლნისელმა მცველმა ბოლო მომენტში იმარჯვა. რაც დრო გადიოდა უფრო შეინიშნებოდა ხაშურელთა უპირატესობა ყველა სათამაშო რგოლში. ნაღდი საგოლე მომენტი შეექმნა ვეტერან ქობელაშვილს: მოსაიშვილის გრ-

იხ. მე-7 გვ.

ფრენბურთი ქალთა ეროვნული ჩემპიონატი

ექვსნი პირველი ეტაპიდან

ამ ასპარეზობის ფორმულა „ლელოს“ წინა ნომერში გაგაცანით სასტარტო შეხვედრების შედეგებთან ერთად. 9 გუნდიან ჩემპიონატს სამი უკვე ჩამოცილდა — ოლიმპიური რეზერვის ფრენბურთის სკოლისა (?!), რუსთავის და ვეტერანთა გუნდები.

მეორე ეტაპზე ბრძოლას გააგრძელებენ სპორტკლუბი „კოლხი“, დიდი ჯიხაიშის კოლეჯი, სპორტკლუბი ჩუღურეთი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის ნაკრები. შეჯიბრებას უმასპინძლებს ბათუმი, აგვისტოში. იქ კიდევ ორი გუნდი (ბოლო ადგილებზე გასულები) გამოეთიშებიან ასპარეზობას. დარჩენილი ოთხი საუკეთესო კი შემდგომ პლეი-ოფის სისტემით გაითამაშებენ პირველ და საპრიზო ადგილებს. აღსანიშნავია, რომ სპორტკლუბ „კოლხის“ გუნდს მხარში ედგა შპს „კოლხი“ და მისმა გენერალურმა დირექტორმა გენადი გიკაშვილმა მოთამაშეები და მწვრთნელები სხვადასხვა საჩუქრებითაც დააჯილდოვა. არადა, უსახსრობის გამო ჩემპიონატი, როგორც ვიუწუებოდით, ნისიად დაიწყო.



ШЕХВЕДРЕБИС ШЕДЕГЕБИ:

ქუთაისი — ბათუმის უნივერსიტეტი 0:2;
რუსთავი — დიდი ჯიხაიში 0:2;
ვეტერანები — „ჩუღურეთი“ 0:2;
თსუ — „კოლხი“ 0:2;
სპორტსკოლა — ვეტერანები 0:2;
ბათუმის უნივერსიტეტი — დიდი ჯიხაიში 0:2;
რუსთავი — ქუთაისი 0:2;
„ჩუღურეთი“ — „კოლხი“ 2:1;
ვეტერანები — თსუ 0:2;
სპორტსკოლა — „კოლხი“ 0:2;
თსუ — „ჩუღურეთი“ 2:1.

სამგზ მსოფლიო თასის გათამაშება

რუსეთი მრისხანე გვარი გაქვს

რუსეთში სამბოს აღიარებულმა ცენტრმა, ქალაქმა ქსტოვომ ამ დღეებში მსოფლიო თასის გათამაშებას უმასპინძლა. 24 ქვეყნის ნაკრები გუნდები იბრძოდნენ ძვირფასი ჯილდოს ხელში ჩასაგდებად, რომელთა შორის იყო ჩვენი ეროვნული ნაკრები სრული შემადგენლობით.

— ძირითადად მხოლოდ ახალგაზრდები წავიყვანეთ ამ შეჯიბრებაზე, სახელიანი სამბისტებიდან გუნდში მხოლოდ მცხეთელი არჩილ ჩოხელი და საგარაჯოელი მამუკა კურდღელაშვილი იყვნენ. სამწუხაროდ, მამუკამ ვარჯიშზე სერიოზულად დაიზიანა ხელი და ასპარეზობაში ვეღარ ჩაება, არჩილმა კი მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა 68 კგ. წონით კატეგორიაში — გვითხრა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ეპიზოდური ვარჯიშისა, მძიმე წონოსანი, შოთა ჩოჩიშვილის ვაჟი რეზო ჩოჩიშვილი (იგი მეტწილად სხვა საქმითაა დაკავებული) შესანიშნავად გაუმკლავდა მრისხანე მეტოქეებს და მეორე ადგილი ხვდა წილად. ყველაზე საგულისხმო კი ისაა, რომ რეზომ პირწმინდად მოუგო სამგზის მსოფლიო ჩემპიონს ბელარუს ვლადიმერ ემილიანოვს. ადრე ამ ტიტულოვან მოჭიდავეს თურმე ძიუდოში რეზოს ძმა შეხვედრია და სასტიკადაც დაუმარცხებია ემელიანოვი. რეზო ძალიან ჩამოგავს თავის ძმას რამაზს და მეტოქეს ჭგონებია ისევ იმ ჩოჩიშვილს ხვდებოდა და ერთგვარად შეშინებულიც გასულა ხალიჩაზე. რეზოსაც კარგად გამოუყენებია ეს ფსიქოლოგიური წნეხი.

პირველად სცადა ბედი დიდების ასპარეზობაში გორელმა ნიკოლოზ ბიბილაშვილმა (74 კგ) და მასაც მესამე ადგილი ხვდა. ოლეგ იაძე ამ შედეგს დიდ წარმატებად მიიჩნევს და თვლის, რომ მომავალში იგი აუცილებლად გახდება მსოფლიო ჩემპიონი. დანარჩენი ახალბედები V-V1 ადგილებზე გავიდნენ, რაც ასევე წარმატებაა.

საქართველოს ნაკრებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა საერთო გუნდურ ჩათვლაში.

თ. ბაძრაძე

ყურადღება!

ფრენბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი 5 – 7 ივნისს გაიმართება

ბურუსი ხალხით გადაჭედილ სტადიონზე

ამხანაგური საერთაშორისო მატჩი: საქართველო – რუსეთი 1-1

საქართველო: ტოგონიძე, სილაგაძე, ცხადაძე, გახოკიძე (ა. არველაძე, 76), შეყილაძე, ზ. ჯანაშია (ჩალაძე, 75), ნემსაძე (დიდავა, 15), ჯამარაული, კობიაშვილი, ქინქლაძე (ცქიტიშვილი, 84), შ. არველაძე.
რუსეთი: ოვჩინიკოვი, ხლესტოვი, კოვტუნი (ბორზენკოვი, 82), ჩუგაინოვი, სემაკი (გორშკოვი, 89), ვარლამოვი (რადიმოვი, 46), ონოპკო, ალეინიჩევი, ბესჩასტნიხი (ციმბალარი, 58), ტიხონოვი (პაგაევი, 79), სიმუტენკოვი (ზუბკო, 46).
გოლები: სიმუტენკოვი (11), ჯანაშია (20).
გაფრთხილება: ჩუგაინოვი, სიმუტენკოვი, ონოპკო, სემაკი, რადიმოვი, ტოგონიძე, დიდავა.
მსაჯი: ტახირ სულეიმანოვი (აზერბაიჯანი).

იმავე დღეს გორში ამ ქვეყნების ახალგაზრდული გუნდების ამხანაგური მატჩიც გაიმართა. ჩვენებმა გაიმარჯვეს 2-1. გოლები: 1-0 მუჯირი (35), 2-0 იაშვილი (45), 2-1 კულიჩენკო (58).

სპორტში ამხანაგურ შეხვედრებშიც იცავენ დამკვიდრებულ პრინციპებს, რომელთაგან უმთავრესია – იბრძოლე გამარჯვებისათვის! უღალატეს თუ არა მეტოქეებმა ამ მატჩში ხსენებულ პრინციპს, დაბეჯითებით მტკიცება ძნელია. მაგრამ გამარჯვებისთვის, რომ არც ერთი მხარე თავგადაკლული არ იბრძოდა, თითქოს არ იყო ძნელი შესამჩნევი. მავანი იმასაც იტყვის, რომ რატომ უნდა გახარჯულიყვნენ „ბოლო ამოსუნთქვამდე“, ხომ შეიძლება ასეთ მატჩს მეგობრული უწოდო. განა იშვიათია შემთხვევა, როცა მაყურებელი, ზოგჯერ სულაც არამეგობრულ მატჩში, მისგან აუხსნელი მიზეზების გამოც გაწბილებული დარჩენილა? სხვა საქმეა, რომ ჩვენს ეროვნულ სტადიონზე შეკრებილ მაყურებელს, სპორტული თვალსაზრისით ეს თითქმის უმოტივაციო მატჩი, მისთვის სასურველი შედეგით სურდა დამთავრებულიყო. ჩვენ მუდამ ასე გვემართება: საკუთარ სურვილში ჩავიძირებით ხოლმე და ნაკლებად ვუწევთ ანგარიშს, რომ მეტოქესაც ოგივე სწადია. ზედმეტი კი ნამდვილად არ უნდა მოსთხოვო არც საკუთარ თავს, არც შენ სათაყვანებელ გუნდს და არც ამხანაგურმეგობრულ მატჩს. ცხადია, მუდამ უმაღლეს შედეგზე, ანუ გამარჯვებაზე უნდა იყო ორიენტირებული, მაგრამ სცენას ხომ კულისებიც აქვს. სუფლიორები კი იქ არ იჭყიტებიან, ან უბრალოდ იქ მათი მზერა ვერ სწვდება.

ვეთანხმებით ყველას, ვინც საჯაროდ, თუ არასაჯაროდ ამბობს, რომ მატჩმა ბუნდოვანი შთაბეჭდილება დატოვა. ბევრი იმასაც ეცადა ამ შეხვედრისთვის პოლიტიკური შეფერილობაც მიეცა, იქნებ დაგვავიწყდა, რომ საერთოდ, თავად პოლიტიკაა ბუნდოვანი რამ.

მიმომხილველი

რამაზ გოგლიძე: „ახალი კაცის მოსვლა სფფ-ში ბევრს ზარავს“

ჟურნალისტთა თხოვნით, კვირას, 31 მაისს, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში პრესკონფერენცია გამართა საქართველოს სპორტული სამყაროსთვის კარგად ცნობილმა პიროვნებამ რამაზ გოგლიძემ, რომელიც ამჟამად საქართველოს კეტბურთისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტია. საუბარი ძირითადად ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებს შეეხო.

– ავტობიოგრაფიის მონაცემების გაცნობის შემდეგ, რამაზ გოგლიძემ ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა. „რაც შეეხება ჩემს პოზიციას, ფეხბურთის ფედერაციის მესაჭეობის კანდიდატად წამოყენებაზე, ჯერჯერობით თავს ვიკავებ, თავადაც არ ვიცი რა ძალებს დავუპირისპირდები, რამდენი მომხრე მეყოლება, ჩემი მოსვლით შეიცვლება თუ არა ფედერაციაში არსებული სიტუაცია, ამას ყველაფერს აწონ-დაწონვა, ღრმა ანალიზი უნდა. ჟურნალისტების აზრს კი ამ საკითხთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ზოგიერთი სკეპტიკოსი იმ აზრზეა, თითქოს ფედერაციის პრეზიდენტი აუცილებლად ფეხბურთიდან

იხ. მე-3 გვ.

წოდების მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიანიჭა:

შოთა მერკვილაძეს – 35-ე სასპორტო სკოლის დირექტორს
იროდი ბეჟაშვილს – სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ სამმართველოს უფროსს
ალექსანდრე იაშვილს – ქ. გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორია-მეთოდიკის კათედრის გამგეს
როლანდ აბულაძეს – განათლების სამინისტროს მთავარ სპეციალისტს
ვანდი ხანდამიშვილს – გაზეთ „ლელოს“ პასუხისმგებელ მდივანს
თემურ არჩაიას – ბალახის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტს
ვაჟა ძველაიას – აბაშის მყ-2 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს
რაჩიკ მამაჯანოვს – სააქციო საზოგადოება „მაუდის“ სპორტკლუბ „ივერიის“ ინსტრუქტორს
ვლადიმერ ასათიანს – აჭარის ჩოგბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს, საჩოგბურთო კლუბ „ბათუმის“ მენეჯერს
ილია სტურუას – „ლოკომოტივის“ სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისიდან — საქმეზე!

მიდი, მიდი!..

ამ წერილის დაწერის მიზეზი, ერთი ჩვენი მწვრთნელის ინტერვიუა. „კარგად მოვემზადეთ, მაგრამ მოწინააღმდეგის არაფერი ვიცოდით“, — თქვა მან. მსგავსი სიტყვები უკვე მერამდენედ გვესმის?

ქანცგამოცლილ მოჭიდავეს, რომელსაც მეტოქე აშკარად ჯაბნიდა, მწვრთნელი სულმოუთქმელად მიდი, მიდის! შეძახილით „ამხნევებდა“ (!) რის მიდი, რის მიდი, სად მიდი, როცა ფიზიკურად, ტექნიკურად, მოუმზადებელ და მორალურად ნირწამხდარ მოჭიდავეს ხალიჩაზე ფეხით მიათრევდნენ.

სპორტსმენის ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური, ფსიქოლოგიური მომზადება, დიდზე დიდი ხელოვნებაა და მას მხოლოდ ერთეულები ფლობენ.



საკუთარ შესაძლებლობათა სწორად შეფასება, მოწინააღმდეგის ყოველმხრივი შესწავლა, მისი ტაქტიკური ჩანაფიქრის გათვლა, სუსტი და ძლიერი მხარეების ცოდნა, კრიტიკულ მომენტში, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მაღალპროფესიულ მწვრთნელს თუ ძალუძს.

გაიხსენეთ, როცა ერთი მოთამაშის შეცვლას რა გარდატეხა ან უადგილო შეცვლას რა ზიანი მოუტანია გუნდისთვის.

თანამედროვე პროფესიულ გუნდებში, მოწინააღმდეგის მონაცემების შესწავლას, დავარქვათ მას დაზვერვა, კონტრდაზვერვა, თუ გნებავთ სპორტული შპიონაჟი, საგანგებოდ მომზადებული სპეციალისტები ემსახურებიან, რაშიც საკმაოდ დიდი თანხებიც იხარჯება. მათ განკარგულებაშია ვიდეოაპარატურა, საგანგებო მოსასმენი მოწყობილობა და რაც მთავარია, პოტენციური მოწინააღმდეგის ყველა მონაცემს (დოსიეს) წინასწარ კომპიუტერული სისტემის ე.წ. მეხსიერების ბანკში აგროვებენ.

პროგნოზირება სპორტში საკმაოდ რთული, ვიტყოდი, ხშირად სარიკესო საქმეცაა.

სამწუხაროდ, ჩვენთან ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა.

გაიხსენეთ ჩვენი სპორტის მესვეურების დიდი ასპარეზობის წინა ბაქიბუქი, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთ, ამდენ ოქროს, ამდენ ვერცხლს ჩამოვიტანთო, შედეგი კი მეტწილად სავალალო ყოფილა.

წვრთნის მოძველებული მეთოდები, გაუმართლებელი თვითთადაჯერება, არაკომპეტენტურობა და დაბალი პროფესიული დონე, სამწუხაროდ, ხშირად საკმაოდ ძვირად გვიჯდება.

ერთი კურიოზული შემთხვევა მახსენდება. კარგა ხნის წინათ, როცა ძიუდო ჩვენში ახალი ხილი იყო, ქართველი ჭიდაობის ცნობილი მწვრთნელი დიდი სიამაყის გრძნობით გვიყვებოდა, იაპონელებს ისე მოეწონათ ქართული ჭიდაობა, რომ მისი ფირზე გადაღება გვთხოვესო.

„სტუმართმოყვარე“ მწვრთნელებმა, საგულდაგულოდ შეარჩიეს ჩვენი ფალავნები, რომლებიც სტუმრებს ოსტატურად უჩვენებდნენ ქართული ჭიდაობის მარგალიტებს, სახემოღიმარი იაპონელები კი ფირზე იღებდნენ.

მომდევნო წელს, იაპონელი ძიუდოისტები ჩვენს ბიჭებზე უკეთ ფლობდნენ მოგვერდს, შუაკაურსა თუ სარმას.

ატლანტის ოლიმპიურმა თამაშებმა მთელი სიგრძე-სიგანით წარმოაჩინა ჩვენი რიგი ფედერაციების, სპეციალისტების, სპორტის მესვეურთა უსუსურობა და არაკომპეტენტურობა, შედეგიც შესაბამისი იყო.

სავალალოა, რომ ჩვენს მწვრთნელებს, ამა თუ იმ შეჯიბრების დაგეგმვა-პროგნოზირება, უმეტეს წილად, მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობაზე დაყრდნობით უხდებათ, რადგან მოწინააღმდეგის მონაცემების მოპოვების არავითარი სისტემა (სამსახური) არ არსებობს. ეს საკითხი ძალზე აქტუალურია და სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს.

სპორტსმენი რომ შეჯიბრებაზე უნდა გაიზარდოს, ეს აქსიომაა და რაც უფრო მეტი და მაღალი დონისაა შეჯიბრება, მით უკეთესი.

მაგრამ დღეს, როდესაც უინვენტარობით, უსახსრობით გაპარტახებულია სპორტული სკოლები, სადაც საფუძველი ეყრება მომავალ ოლიმპიელთა აღზრდას, როდესაც მათ ზაფხულის პერიოდში ორკვირიანი შეკრების საშუალება არა აქვთ, ოკეანის გაღმა თუ გამოღმა სპორტულ-ტურისტული ექსკურსიების მოწყობა თან ერთ სპორტსმენზე ორი თანმხლები პირით (!), ძალიან რბილად რომ ვთქვათ, უხერხულად გვეჩვენება, მერე რა, ერთი ასეთი ტურისტი თუ 2-3 ათასი დოლარი ჯდება (!) (ამ თანხით ერთ ნაკრებ გუნდს ზაფხულის შეკრება ჩაუტარდებოდა).

მინდა სწორად გამიგონ, სპორტული ფედერაცია იმიტომ არსებობს, რომ თავის სახეობაში ერთმმართველი და წარმმართველი იყოს, მაგრამ, როდესაც საქმე ერის ნაკრებს, ქვეყნის სახელით მოასპარეზე გუნდს ეხება, იქ ფედერაციის პირად პასუხისმგებლობასთან ერთად, შესაბამისად პასუხი სპორტის დეპარტამენტმაც უნდა აგოს. ასე იყო ყოველთვის. სამწუხაროდ, „სპორტის შესახებ კანონში“ სპორტის დეპარტამენტის მაკოორდინირებელ-მაკონტროლებელი როლი გამოკვეთილად არ ჩანს, რაც აუცილებლად უნდა გასწორდეს.

დღეს მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება შერჩევა-სელექცია და მათი შემდგომი ზრდა, სრულიად ახლებურ მიდგომას მოითხოვს.

სპორტსმენის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება, მით უმეტეს, სპორტული შედეგების დაგეგმვა-პროგნოზირება, სპორტსმენის ინდივიდიალურ შესაძლებლობათა ღრმა შესწავლის გარეშე შეუძლებელია.

სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დადგა სპორტსმენთა წვრთნის, დაგეგმარების, მართვისა და პროგნოზირების უახლესი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ანალიტიკური ცენტრის შექმნის საკითხი. მსგავსი ცენტრები ბევრ ქვეყანაშია, მათ შორის რუსეთშიც. ამ ცენტრში მაღალკვალიფიციური მეცნიერები, ექიმები, ფსიქოლოგები, მწვრთნელები, სპორტსმენს ყოველმხრივ შეისწავლიან და მიღებული მონაცემების შესაბამისად, მისი შესაძლებლობათა გათვალისწინებით ინდივიდუალურ რეკომენდაციებს გასცემენ. აქვე, ე.წ. მეხსიერების ბანკში შეგროვდება პოტენციურ მოწინააღმდეგეთა დოსიე.

ზემოხსენებული საკითხის მოგვარება ცხადია, გარკვეულ ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ თუ გვსურს ქართული სპორტის აღმავლობა, სახსრებიც უნდა გამოიძებნოს. მით უმეტეს, შემდგომ ანალიტიკური ცენტრი სამეურნეო ანგარიშზე იმუშავებს და უმოკლეს დროში მოიტანს სასურველ შედეგს.

თუ საკითხით საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაინტერესდება, და სხვებსაც დააინტერესებს, ვფიქრობთ, მთავრობა გაგებით შეხვდება ამ საშურ საქმეს.

ბივი ყირმელაშვილი

თანადგომა

მაისის რჩეულნი

ბიძინა მაზიაშვილი

გელა ზანდარაშვილი

ქართულ სპორტს უჭირს, უჭირს მასობრივ სპორტსაც, უჭირთ სპორტსმენებს და მათ აღმზრდელებს. სამწუხაროდ, თანადგომის არაერთგზის მოწოდება მეტწილად უყურადღებოდ რჩება. და მაინც, არიან ერთეულები — სახელმწიფო მოხელეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების თუ კომერციული სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც თავს მოვალედ თვლიან, თუნდაც შეძლებისდაგვარად, მხარში დაუდგნენ სპორტის მუშაკებს, ხელი გაუმართონ, რაღაც იღონონ, რომ საქართველოში ოდესღაც აღმავლობის გზით მიმავალი სპორტული მოძრაობა, მთლად არ განელდეს და ჩაიფერფლოს.

„ლელო“ გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს ასეთ ადამიანთა ღვაწლს და ცდილობს ყოველთვიურად გამოავლინოს თანადგომით გამორჩეულნი. გასულ თვეში გაწეული ამაგის მიხედვით წარმოჩენისა და საზოგადოებრიობის წინაშე წარდგენის ღირსად ვცანით ორი პიროვნება — მცხეთის რაიონის საფინანსო სამმართველოს უფროსი *გელა ზანდარაშვილი* და შპს „კოლხის“ გენერალური დირექტორი *გენადი გიკაშვილი.*

სასიამოვნო გულმავიწყობა

სულ ახლახანს სოფელ ზემო მაჩხანის კლუბი ხალხით გაიჭედა. საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა თავის მშობლიურ სოფელში იუბილეს უხდიდა ქართველ ძიუდოისტობა „პაპად“ აღიარებულ ბიძინა მაზიაშვილს.

დამთავრდა საიუბილეო საღამო, იუბილარს სიტყვით მიმართა 20-ზე მეტმა გამომსვლელმა და სასიამოვნოდ გაოგნებულმა კითხვა დავუსვი საკუთარ თავს: რა მდიდარი ბიოგრაფია უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამდენი გამომსვლელიდან, რომელთა შორის ამ სტრიქონების ავტორიც ერია, არც ერთს აღარ გაგვხსენებია ასეთი ფაქტი: ბიძინა მაზიაშვილმა სამჯერ ზედიზედ დაიმსახურა ძიუდოში „სხრ კავშირის საუკეთესო მწვრთნელის“ წოდება. ასეთი მასშტაბის ტიტულს კი, როგორც ვიცი, საქართველოში არავინ ფლობდა!

უველა გამომსვლელის სახელით,
დიდი ბოდიშითა და სიყვარულით,
პროფესორი
ავთანდილ ცინცაძე

«ლელოს» ფოტომატიანე

ნონა გაფრინდაშვილი თავისი შემოქმედების მანძილზე ბევრ გამოჩენილ ადამიანთან მეგობრობდა და მეგობრობს. ელიზაბედ ბიკოფასთან მატჩის დროს (1962 წ.). თავისუფალ დროს ბილიარდსაც თამაშობდა და მეგობრებიც ბევრით ჰყავდა.

მარცხნიდან: ცნობილი მომღერალი მარკ ბერნესი, მწერალი სერგეი მიხალკოვი და ნონა გაფრინდაშვილი *(მიხეილ ზარგარიანის ფოტო)*

ქართული სპორტის პრობლემები ქართულ პრესაში

მერაბ კეკელიძე (ოლიმპიური რეზერვის კალათბურთის სკოლის დირექტორი): „მესმის, რომ ქვეყანას უჭირს, მაგრამ ხვალ და ზეგ ეკონომიკურად რომ გავძლიერდებით და წელში გაგიმართებთ, სპორტი გვექნება? ვაკუუმის ამოვსებას, სულ მცირე, 5-10 წელიწადი მაინც დასჭირდება, მერე რომ არ მოგვიხდეს ნაგვიანევად თითზე კბენა, ახლავე უნდა მივხედოთ ბავშვთა სპორტს“.

„საქართველოს რესპუბლიკა“ (№129)

ომარ ფხაკაძის ტურნირთან დაკავშირებით. „ქართული სატრეკო ველოსპორტის დონის არნახული დაქვეითება ამ ასპარეზობამაც დაგვანახვა. ისტორიას არ ახსოვს, ტრეკზე ჩვენი ველოსიპედისტებისთვის სომხებს ეჯობნათ, მაგრამ ახლა ასე მოხდა.“

„დილის გაზეთი“ (№118)

„გაურკვეველია თუ ვის ეკუთვნის თავის დროზე „ინოვაციის“ მიერ წნორში შესყიდული სპორტკომპლექსი „ატლეტი“.

„ახალი თაობა“ (№143).

მეზობლების საიმუშო მეგობრობა

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღეს (შესაბამისად, 26 და 28 მაისი) მიეძღვნა მძლეოსნური გადარბენა თბილისი-ბაქო ორივე ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობით.

— ეს ღონისძიება ორი მეზობელი ქვეყნის მეგობრობის ზეიმად იქცა, ბაქოში და ყველგან, მთელ გზაზე, სიხარულით და აღტაცებით გვხდებოდნენ, ყველგან განსაკუთრებული ყურადღებით ვიყავით გარემოსილნი, როგორც ხელისუფლების, ისე მოსახლეობის მხრიდან, — თქვა თბილისში დაბრუნების შემდეგ ჩვენი სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ სამმართველოს უფროსმა ირეოდი ბეჟაშვილმა.

ღონისძიების მაღალ და ორგანიზებულ დონეზე ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანეს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, და სპორტსაზოგადოება „შევარდენმა“, როგორც გადარბენის უშუალო დამფინანსებელმა და ხელმძღვანელმა.

დებიუტანტი

ბორის ზელი (ფეხბურთი)

დაიბადა 1982 წ. ზუგდიდში
წონა — 70 კგ
სიმაღლე — 180 სმ
ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე
ფეხბურთის თამაში დაწყო 12 წლისამ
პირველი მწვრთნელი გიორგი კალანდია
ბავშვთა საფეხბურთო კლუბი „ლაზიკას“ წევრია
ზუგდიდის ჩემპიონია ჭაბუკთა შორის (1997 წ.)

FRANCE 98 INFORMATIONS

ყურადღებაც ამას ჰქვია!

მას შემდეგ, რაც 21 წლის იაპონელმა ნახევარმცველმა ხიდეტოში ნაკატამ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, იგი ამ ქვეყნის ეროვნული გმირი გახდა. ცხადია, ნაკატას დიდ ყურადღებას უთმობს იაპონიის ტელევიზია და პრესა. ახლა ტელეკომპანია ენ-ვიჩ-

კეი აპირებს მსოფლიო ჩემპიონატზე სპეციალური ტელეკამერის დადგმას, რომელიც მთელი 90 წუთის მანძილზე დაფიქსირებს ნაკატას თითოეულ ნაბიჯს. ყურადღებაც ამას ჰქვია!

ლამა ჟურნალისტის როლში

საფრანგეთის ნაკრების მეკარე ბერნარ ლამა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ყოველდღიურად დაწერს წერილებს საერთო სათაურით. „რეპორტაჟები მსოფლიო ჩემპიონატის გასახდელებიდან". დაინტერესდა ადამიანი ყველაფერს გაიგებს, რა ხდება საფრანგეთის ნაკრებში. ეს მთელი მსოფლიოს გულშემატკივრებსაც ეხებათ, ამისათვის კი საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: ლამას მისამართის გაგება ინტერნეტში.

ჰომეინის მავზოლეუმი მოინახულეს

ირანის ნაკრების ფეხბურთელებმა ევროპაში ამხანაგური მატჩების წინ მსოფლიო ჩემპიონატისათვის უკეთ მომზადებისათვის ჯერ საზეიმო რიტუალი ჩაატარეს. მათ .იმამ ჰომეინის მავზოლეუმი მოინახულეს.

ვთქვათ ისიც, რომ, როცა ნოემბერში ირანელებმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს, ისინი მიიწვიეს ირანის სასულიერო ლიდერ აიატოლა ალი ჰამენეისთან, აგრეთვე, პრეზიდენტ მოჰამედ ჰატამისა და ყოფილ პრეზიდენტ ჰაშემი — რაფსანჯანისთან, რომლებმაც პირადად მიულოცეს მათ წარმატება.

ქარი მაგრად გამოიჯახუნა

იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეთა წინასწარ სიაში შეტანილი იყო, ცნობილმა შოტლანდიელმა მეკარემ ენდი გორამმა მაინც განაცხადა, რომ გადაწყვიტა ნაკრებთან საბოლოო გამოთხოვება. ამის მიზეზად მან მოიყვანა პრესაში ისეთი მასალების გამოქვეყნება, რომელიც მის პირად ცხოვრებას ეხება.

12 ივლისს, ფინალში, რუმინეთი ბრაზილიას შეხვდება

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს რუმინეთის ეროვნული ნაკრების კაპიტნის გეორგე ჰაჯის სიტყვები: მისი პროგნოზით, 12 ივლისს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან რუმინეთისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები. უფრო მეტიც, თურმე, „სულაც არ იქნება სენსაცია, თუკი ანგელ იორდანესკუს ბიჭები შინ მსოფლიოს თასით დაბრუნდებიან".

ჰაჯის ნათქვამს, ალბათ, ბევრი სკეპტიკურად აღიქვამს, თუმცა, რუმინელებს რომ თამაში შეუძლიათ და საკმაოდ კარგად, ეს მათ თუნდაც წინა მონდიალზე დაამტკიცეს.

ესპანეთის ჩემპიონატი

„ბარსელონას" მეთხუთმეტე გაჩემპიონება

გულშემატკივარი, ესპანელიცა და უცხოელიც, კარგახანია მიეჩვია, რომ ქვეყნის ჩემპიონატი ორი სუპერკლუბის: მადრიდის „რეალისა" და „ბარსელონას" დაპირისპირების ნიშნით ტარდება. ამ დაპირისპირებაში (რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელ პირველობას არ ეხება), რომ იტყვიან, ათასში ერთხელ ერევიან მადრიდის „ატლეტიკო" და „ვალენსია, ხანდახან კი ბასკური კლუბებიც აღიმაღლებენ ხოლმე ხმას.

1997-98 წლების ჩემპიონატიც ამ ნაცნობი სცენარით წარიმართა: „რეალი" ან „ბარსელონა". ფიქრობდნენ, რომ ფაბიო კაპელოს წარმატებებს დედაქალაქში კარგად გააგრძელებდა იუპ ჰაინკესი (მან, ლეგენდარული გერდ მიულერის მემკვიდრემ, იცოცხლეთ, იცოდა გოლების გატანა!), ხოლო „ბარსელონის" მომავალი მიღწევების გარანტიებს კი, თითქოს, იძლეოდა ლუის ვან გაალი, რომელიც ადრე ასე მარჯვედ მართავდა ამსტერდამის „აიაქსს". იმის მიუხედავად, რომ „ბარსელონამ" მილანის „ინტერს" დაუთმო მსოფლიოს უძლიერესი თავდამსხმელი რონალდო, და, გარდა ამისა, ყოვლად სამარცხვინოდ წააგო ჩემპიონთა ლიგაში როგორც კიევში, ისე „ნოუ კამპზე" ვალერი ლობანოვსკის გუნდთან, კატალონური კლუბის ქომაგები იმედს არა ჰკარგავდნენ. თანდათან კლუბმა შეძლო დაწინაურება, თუმცა „რეალი" სულაც არ აპირებდა დათმობას. აქ გადამწყვეტი გამოდგა უშუალო შეხვედრა ბარსელონაში, სადაც მასპინძლებმა სამეფო კლუბს მძიმე მარცხი აგემეს: 3-0. ამან განაპირობა ჯერ „ბარსელონას" მტკიცე ლიდერობა, ხოლო შემდეგ მისი ჩემპიონობაც, მეორე პრიზიორთან მთელი ცხრაქულიანი უპირატესობით.

მაშ ასე, საბოლოოდ „ბარსელონამ" 38 თამაშიდან 74 ქულა მოაგროვა, 23 მატჩი მოიგო, 5 ფრედ დაასრულა და 10 წააგო, 78 გოლი გაიტანა და 56 მიიღო. მან ესპანეთის ჩემპიონობა უკვე მე-15-ედ მოიპოვა. რა თქმა უნდა, ასეთ ხანგრძლივ ჩემპიონატში არ შეიძლებოდა გუნდს მძიმე პრობლემებიც არ შეჰქმნოდა, რაც ძირითადად მოთამაშეთა ტრავმებთან იყო დაკავშირებული. მწვრთნელებს მრავალნაცად პორტუგალიელ მეკარე ვიტორ ბაიას იმედი ჰქონდათ, მაგრამ მან სერიოზული ტრავმა მიიღო. აი აქ უშველა „ბარსელონას" მწვრთნელმა გაალმა და... დიდმა ფულმა. ვიტო ბაია ჰოლანდიელი ხესპით

ქრისტიან ვიერი

შეიცვალა, რომელიც ისე მარჯვედ თამაშობდა, რომ გამოჯანმრთელებული პორტუგალიელი ძირითად შემადგენლობას აღარ გააკარა. იყო პრობლემები თავდასხმაში, სადაც თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინეს ვერც ფრანგმა დიუგარომ, ვერც განთქმულმა სტოიჩკოვმა, ვერც ვეტერანმა პიციმ. ბრაზილიელ სონი ანდერსონს კიდევ არა უშავდა — მან 10 გოლი მაინც გაიტანა. ასეთ ვითარებაში გუნდის მთავარ დამკვრელ ძალად იქცნენ ბრაზილიელი რივალდო (მას წინა ხაზზეც შეუძლია თამაში და შუა ხაზზეც) და ლუის ენრიკე. საბოლოოდ რივალდომ 19 ბურთი გაიტანა, ლუის ენრიკემ — 18. ეს კი სნაიპერთა სიაში მეორე და მესამე ადგილებს ნიშნავდა.

როგორც ყოველთვის, საიმედოდ თამაშობდნენ ესპანეთის ნაკრების მცველები ალბერტ ფერერი, აბელარდო, ნადალი და სერხი, ჰოლანდიის ნაკრების წევრები ბოგარდი და რაიზიგერი, პორტუგალიელი ფერნანდო კოუტუ, შუა ხაზზე — პორტუგალიელი ფიგუ, ბრაზილიელი ჯოვანნი, დე ლა პენია, ოსკარი. ერთი სიტყვით, „ბარსელონას" გრძელი სკამი ჰქონდა და არავის აეჭვებდა მისი საბოლოო გამარჯვება.

მიმომხილველების აზრით, ბილბაოს „ატლეტიკოში" დიდებულად იმუშავა ეროვნებით ბასკმა, ისე კი, ფართოდ ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა (ადრე მას, როგორც ცნობილია, საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ესპანეთის ნაკრები ჰყავს დამარცხებული). „ატლეტიკმა", თუმცა არც ისე ცნობილი ოსტატები ჰყავს, 65 ქულით მეორე ადგილი დაიკავა (17 მატჩი მოიგო, 14 ფრედ დაასრულა და 7 წააგო, ბურთების სხვაობით 52-42. ისე რომ, ბასკები ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, უდიდეს წარმატებადაა მიჩნეული. მესამე ადილი ასევე ბასკების კლუბ „რეალ-სოსიედადს" დარჩა. მან 16 მატჩი მოიგო, 15 ფრედ დაასრულა და 7 წააგო, 63 ქულა მოაგროვა ბურთების სხვაობით 60-37.

მადრიდის „რეალმა" ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებით თავის გულშემატკივრებს უდიდესი სიხარული კი მოუტანა, მაგრამ რა ვუყოთ ესპანეთის პირველობაზე დაკავებულ მეოთხე ადგილს? მან 17 მატჩი მოიგო, 12 ფრედ დაასრულა, 9 წააგო, 63 ქულით და ბურთების სხვაობით 63-45. ჩემპიონთა თასის მოპოვებამ ვერ გადაარჩინა მწვრთნელი ჰაინკესი, რომელსაც დიდი ფულადი ჯილდო კი მისცეს, მაგრამ გუნდი მაინც დაატოვებინეს და მის შემცვლელად ბარსელონას „ესპანიოლის" ახლანდელ ხელმძღვანელ კამაჩოს ასახელებენ.

მადრიდის „ატლეტიკოს" მეშვიდე ადგილი, რა თქმა უნდა, მძიმე მარცხად ჩაითვალა და მწვრთნელი რადომირ ანტიჩი გაათავეს. ასეთ პირობებში ვიღას აინტერესებდა, რომ იტალიელი კრისტიან ვიერი 24 გოლით ჩემპიონატის №1 სნაიპერი გახდა. მით უმეტეს, როცა „ბობო" (ვიერის მეტსახელია) თვით აცხადებს, რომ პირადი წოდებები მას არ აინტერესებს, მთავარია გუნდის წარმატება. ვერაფერი შედეგები ჰქონდათ ისეთ ცნობილ კლუბებს, როგორიცაა სევილიის „ბეტისი" (მერვე ადგილი, ყოფილმა სნაიპერმა ალფონსომ სულ 10 გოლი გაიტანა), „ვალენსია" (მეცხრე) და ბარსელონას „ესპანოლი" (მეათე), და კიდევ ერთი — ამ ჩემპიონატში საკმაოდ მოკრძალებული შედეგიანობა ჰქონდათ ისეთ ცნობილ სნაიპერებს, როგორნიც არიან „რეალში" მოთამაშე იუგოსლავიელი მიატოვიჩი, ამავე გუნდის ახალგაზრდა ვარსკვლავი რაული და ხორვატი შუკერი. ამ სამმა რეალელმა სულ გაიტანა 30 გოლი — ათათი თითოეულმა.

ბიჟი თორელი

სპორტის ენა ყველას ესმის

პირდაპირ უნდა ითქვას: საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყრუ-ინვალიდთა სოციალური საკითხები ბედის ანაბარა არ ყოფილა მიტოვებული. გამონაკლისი არც სპორტს შეეხებოდა — საქართველოს წარმომადგენლებმა სახელი გაითქვეს როგორც საკავშირო, ისე მსოფლიო სპორტულ სარბიელზე. „ნგრევის წლებში" ინვალიდებისთვის აღარავის ეცალა. ისევ ქვეყნის პრეზიდენტმა და პარლამენტმა გამოიჩინა მზრუნველობა, ჩაისახა იმედი — შეიქმნა ინვალიდთა საკოორდინაციო საბჭო (თავმჯდომარე გიორგი ძნელაძე), ინვალიდთა დეპარტამენტი (თამაზ იმნაძე). მათი უშუალო ხელშეწყობით ამ ბოლო 8 წლის მანძილზე პირველად შეიქმნა ყრუთა საზოგადოების რესპუბლიკური ჩემპიონატის ჩატარების შესაძლებლობა სპორტის ოთხ სახეობაში — ფეხბურთში, კალათბურთში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. ეს ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

საზოგადოებას დახმარების ხელი გაუწოდეს თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ, დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ და ვიცე-პრეზიდენტმა ავთანდილ კოკაიამ. გამოიყო სამახსოვრო პრიზები, ცალკეული ჯილდოები. მონაწილეებს მიესალმნენ ინვალიდთა სპორტული ფედერაციის თავმჯდომარე დავით მაისურაძე, საზოგადოების თავმჯდომარე ნუგზარ ევგენიძე, ყრუთა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ცენტრის პრეზიდენტი ნოდარ რეხვიაშვილი, პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ჯონდო ნაყოფია. გაგაცნობთ სახეობების მიხედვით გამარჯვებულებს და პრიზიორებს. **ფეხბურთი:** 1. ცენტრის ნაკრები, 2. რუსთავი, 3. ქუთაისი (ორივე — საწარმოო წამოწყების გუნდებია); **კალათბურთი:** 1. თბილისის №2 სასწავლო-საწარმო, 2. თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი, 3. ცენტრი; **მაგიდის ჩოგბურთი:** 1. ცენტრი, 2. თბილისის სასწავლო-საწარმო, 3. სკოლა-ინტერნატი; **ჭადრაკი:** 1. თბილისის წამოწყებათა ნაკრები, 2. ცენტრი, 3. სკოლა-ინტერნატი.

საერთო გუნდური ჩათვლა: 1. ცენტრი, 2. სკოლა-ინტერნატი, 3. ქუთაისისა და თბილისის წარმოებების კოლექტივები, 4. თბილისის №2 წარმოება, 5. რუსთავის ყრუთა საწარმოო წამოწყება.

ფეხბურთელთა ნაკრები ჩართულია თბილისის პირველობაში, მალე ეს გუნდი თურქეთში გამოვა საერთაშორისო ტურნირში, წლეულსვე ჩაერთვება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში — სტუმრად ეთამაშებიან ბერძნებს, შინ კი ჩეხებს მიიღებენ.

ზოთა კულულაშვილი,
ყრუთა საზოგადოების გენერალური მდივანი

მინიფეხბურთი

„ვერე" პირველი იყო...

ნორჩ მინიფეხბურთელთა საინტერესო ტურნირი მიუძღვნა მოაწყინდის რაიონის სპორტკომიტეტმა (თავმჯდომარე ჯუდუ ქამუშაძე) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. 12-13 წლის მოსწავლეთა 8 გუნდი იბრძოდა საპატიო თასისათვის ორი კვირის განმავლობაში.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ 49-ე („ვერე") და 43-ე („სოლოლაკი") სკოლების გუნდები. 2-1 გაიმარჯვა „ვერემ" (მწვრთნელი დავით გოგელიძე). ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი — 6 ბურთით გახდა გამარჯვებულთა კაპიტანი ვასილ ფურცელაძე, საუკეთესო მეკარე — ირაკლი კურტანიძე („მთაწმინდა", 50-ე სკოლა). ამ გუნდმა მესამე ადგილი მოიპოვა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

იაპონიას მიაშურებს

ხრისტო სტოიჩკოვი მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ იაპონიის ჯეი-ლიგას მიაშურებს. მან კლუბ „კასივა რეისოლთან" უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს, რომელიც 2 ივლისიდან 1999 წლის 2 იანვრამდე იქნება ძალაში. საკითხი რეალურად როდის დაიწყებს ბულგარელი თავდამსხმელი იაპონიაში თამაშს, იმაზე იქნება დამოკიდებული — სანამდე მიაღწევს მისი ნაკრები მსოფლიო პირველობაზე.

ამ სეზონში სტოიჩკოვმა ხელშეკრულება დადო ბულგარულ ცსკა-სთან. სწორედ ამ კლუბიდან გადავიდა იგი 1990 წელს „ბარსელონაში", სადაც თავის მთავარ წარმატებებს მიაღწია, 117 გოლი გაიტანა, იყო ევროპის ჩემპიონთა თასისა და თასების თასის მფლობელი, ესპანეთის ოთხგზის ჩემპიონი, 1994 წელს კი ევროპის №1 ფეხბურთელად აღიარეს.

„სბაღიონები არა გვაქვს"

შვეიცარიამ, რომელსაც ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ჩატარების პრეტენზია ჰქონდა, ამ განზრახვაზე ხელის აღება გადაწყვიტა. მთავარი მიზეზი, რომელმაც შვეიცარიელებს ეს ნაბიჯი გადაადგმევინა, გახლავთ ისეთი სტადიონების არქონა, რომლებიც უეფას მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. საქმე ისაა, რომ უეფას წესების თანახმად, ევროპის ჩემპიონატის წინასწარი რაუნდის მატჩები უნდა ჩატარდეს ისეთ სტადიონებზე, სადაც 30 ათასი მაყურებელი მაინც ეტევა, ნახევარფინალი კი ისეთზე, რომელიც 40 ათასზე ნაკლებს არ იტევს.

ახლა ევროპის ჩემპიონატის ჩატარება სურთ ესპანელებს, აგრეთვე ერთობლივი ძალისხმევით — ავსტრიელებსა და უნგრელებს.

ჭან ჯორკაეფი თანახმაა

სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის მიწვევით ერევანში იმყოფებოდა საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ახლა კი მწვრთნელი ჟან ჯორკაეფი (იური ჯორკაეფის შამა). მისი სომხეთის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის საკითხი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, თუმცა, როგორც ამბობენ, არც ბევრი უკლია.

— ერევანში ჩამოსვლამდე ვესაუბრე სომხეთის ნაკრების ლეგიონერს საფრანგეთიდან ერიკ ასადურიანს, რომელიც მელაპარაკა გუნდზე, მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე — განაცხადა ჟან ჯორკაეფმა — ახლა უკვე მაქვს წარმოდგენა სომხურ ფეხბურთზე, მინდა კიდეც იქ მუშაობა, თუმცა ყოფითი და სოციალური პირობები, საქმის ფინანსური მხარე მაინცდამაინც კარგი არ არის.

რატომ უნდა მაინცდამაინც სომხეთში მუშაობა? აი რა თქვა ჯორკაეფმა:

— „გარეუბანი, სადაც ჩემი სახლია და ბავშვები იზრდებოდნენ, ძირითადად სომხეთით იყო დასახლებული. გარდა ამისა, ჩემი ცოლი სომეხია და ამდენად ჩემს შვილებს სომხური სისხლი აქვთ". როგორც ჯორკაეფმა განაცხადა, შესაძლოა სომხეთის ნაკრებში მისმა უმცროსმა ვაჟმა მიშამ ითამაშოს.

პოპესკუ სკოლას ხსნის

მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ რუმინეთის ნაკრების ნახევარმცველი გეორგე პოპესკუ თავის მშობლიურ ქალაქ კრაიოვაში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გახსნას აპირებს. იგი ამ სკოლის მოდელს ამსტერდამის „აიაქსის" ცნობილ საბავშვო „ინტერნატის" მიხედვით შექმნის რუმინული თავისებურებების გათვალისწინებით.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

● **იტალიის** ნაკრების ძირითადმა გოლკიპერმა 28 წლის ანჯელო პერუცამ, რომელიც იტალიის „იუვენტუსში“ თამაშობს, ერთ-ერთი ვარჯიშისას ფეხის სერიოზული ტრავმა მიიღო და მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთხოვა: „ძალიან მწყდება გული, მაგრამ რა ვქნა, ამისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ იტალიელ ტიფოზებს ნუ შეეშინდებათ. ჩემი შემცვლელი ჯანლუკა პალიუკა ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა“. რაც შეეხება მის საკლუბო კარიერას, პერუცის სრულ გამოჯანმრთელებას, ექიმების ვარაუდით, 3 თვე დასჭირდება, მანამდე ნაკრებში ადგილს ფიორენტინელი ტანმაღალი ფრანჩესკო ტოლდო დაიკავებს.

● **მალე,** ალბათ, ინგლისური „ჩელსი“ პატარა იტალია გახდება. იქ ხომ მწვრთნელის ჩათვლით 3 აპენინელი „მოღვაწეობს“. მათ რიგებს მომავალი სეზონიდან 29 წლის პერლუიჯი კაზირაგი შეემატება, რომელიც აქამდე „ლაციოში“ თამაშობდა. ერთ დროს იტალიის ნაკრების ძირითადი წევრი იმ 22 კაცის სიაში ვერ მოხვდა, რომელიც „სკუადრა აძურას“ თავკაცმა ჩეზარე მალდინიმ მონდიალისთვის დაასახელა. არადა, იტალიელთა საფრანგეთში გამგზავრება სწორედ რომ კაზირაგის დამსახურებაა. მოსკოვში პლეი-ოფის შეხვედრაში მისი გოლის წყალობით სამგზის ჩემპიონებმა ესოდენ საჭირო გამარჯვება მოიპოვეს. „მართალია, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოვხვდი, მაგრამ ღრმად მწამს, „ჩელსის“ შემადგენლობაში ძველებურ ფორმას აღვიდგენ და ნაკრებში კვლავ მიხმობენ“. — განაცხადა კაზირაგიმ.

● **იუგოსლავიელი** სინიშა მიხაილოვიჩი, რომელიც წლების მანძილზე ჯერ „რომასა“, ხოლო შემდეგ „სამპდორიას“ ღირსებას იცავდა, მომავალი სეზონიდან „ლაციოში“ იასპარეზებს. ჩანს, რომაელთა გუნდის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კაზირაგის მოვალეობას „იუგი“ ფეხბურთელი უფრო კარგად გაართმევს თავს.

● **კიდევ** ერთი იუგოსლავიელი, რომელმაც სულ ახლახანს ნაკრების შემადგენლობაში ნიგერიას გოლიც გაუტანა, ლაპარაკია სავო მილოშევიჩზე (ამ სეზონში ინგლისურ „ასტონ-ვილას“ ღირსებას იცავდა), მან მთავარ მწვრთნელთან ჯო გრეგორისთან საერთო ენა ვერ გამონახა, რის გამოც ტრანსფერზე დააყენეს. მყიდველი ხელად გამოჩნდა ესპანური „სარაგოსა“, რომელმაც მილოშევიჩში 5,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა.

● **80-იანი** წლების ჰოლანდიის ნაკრების წევრი, 1988 წლის ევროპის ჩემპიონი იან ვანენბურგი, რომელიც ამ სეზონში ფრანგულ „კანში“ თამაშობდა, აღარ ისურვა უმაღლესი ლიგიდან გავარდნილ კლუბში დარჩენა და 32 წლის ასაკში გერმანულ „მიუნხენ-1860“-ში გადაბარგდა.

● **უნგრეთის** ეროვნული ჩემპიონატი სულ ახლახან დასრულდა. ჩემპიონი „მტკ“ გახდა, რომელმაც დამაჯერებლად ჩამოიტოვა მდევრები. რაც შეეხება უნგრეთის თასის ფინალს, ამ ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო კლუბმა „ფერენცვაროშმა“ სასტიკი მარცხი იწვნია „სპარტასთან“ 1-4.

● **ბრაზილიის** ნაკრებმა ტრავმირებული რომარიოს არყოფნაში ამხანაგური მატჩი ჩაატარა ატლეტიკის „ბილბაოსთან“ ბასკეთში. შეხვედრა 1-1 დამთავრდა. თავდაპირველად ესპანელმა ფეხბურთელებმა გახსნეს ანგარიში. ეს კარლოს გარსიამ მოახერხა. ბრაზილიელებმა, კერძოდ კი რივალდომ, თანაფარდობა მეორე ნახევრის დასაწყისში აღადგინა.



ანჯელო პერუცი

გარსია ასპემ მექსიკელებს გამარჯვება მოუტანა

● **ინგლისის** ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა დაასახელა იმ 22 კაცის სია, რომელიც საფრანგეთში გაემგზავრება:

მეკარეები — დევიდ სიმენი (არსენალი), ტიმ ფლაუერსი (ბლექბერნი), ნაიჯელ მარტინი (ორივე — ლიდსი); ***მცველები*** — სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), ტონი ადამსი, მარტინ კოუნი (არსენალი), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემი), გარეთ საუგეიტი (ასტონ ვილა), გარი ნევილი (მანჩესტერი), გრემ ლესო (ჩელსი); ***ნახევარმცველები*** — დარენ ანდერტონი (ტოტენჰემი), დევიდ ბექჰემი, პოლ სქოუზი (ორივე — მანჩესტერი), რობერტ ლი, დევიდ ბეტი (ორივე — ნიუკასლი), სტივ მაკმანამანი, პოლ ინსი (ორივე — ლივერპული), პოლ მერსონი (მიდლსბრო); ***თავდამსხმელები*** — ალან შირერი (ნიუკასლი), ლეს ფერდინანდი (ტოტენჰემი), ტედ შერინგემი (მანჩესტერი), მარკ ოუენი (ლივერპული). როგორც ხედავთ, გლენ ჰოდლმა საფრანგეთში არ წაიყვანა პოლ გასკოინი, რაც იმით ახსნა, რომ იგი სასურველ ფორმაში არ არის.

● **ჰოლანდიის** ნაკრებმა თავისი ბოლოსწინა ამხანაგური მატჩი გამართა მსოფლიო ჩემპიონატამდე. მან ეინდჰოვენში „ფილიპსის“ სტადიონზე მიიღო პარაგვაის ეროვნული ნაკრები და 5-1 გაიმარჯვა. ორი გოლი ოვერმარსმა გაიტანა, თითო კლაივერტმა, ფრენკ დებურმა და ჯიმი ფლოიდ ჰასელბანკმა, რომელმაც პირველი მატჩი ითამაშა ნაკრებში. ჰოლანდიელები ბოლო საწვრთნელ მატჩს შაბათს გამართავენ ნიგერიელებთან.

● **შვეიცარიის** ქალაქ ლოზანაში მექსიკის და იაპონიის ნაკრებები წარსდგნენ პირისპირ. მექსიკელებმა მოიგეს 2-1. გოლები გაიტანეს გარსიამ და გარსია ასპემ, იაპონელთაგან — სომამ. სხვა მატჩები: ჩილე — ტუნისი 3-2, კამერუნი — ლუქსემბურგი 2-0, კაიზერსლაუტერნი — ბულგარეთი 0-4.

● **არგენტინა.** აქ დასრულდა „კლაუზურას“ ჩემპიონატი, სადაც ჩემპიონობა მოიპოვა „ველეტ სარსფილდმა“. მან ბოლო შეხვედრაში 1-0 სძლია „ჰურაკანს“ და გაინაღდა პირველი ადგილი. გოლი ჰოსემ გაიტანა. ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: „ველეტ სარსფილდი“ — 43 ქულა, „ლანუსი“ — 37, „გიმნასია ლა პლატა“ — 37. სუსტად იასპარეზეს ჩემპიონატში სახელგანთქმულმა „რივერ პლეიტმა“ და „ბოკა ჰუნიორსმა“.

● **ანტონ დრობნიაკი,** რომელიც საფრანგეთის „ლანის“ შემადგენლობაში გამოდის და წელს ჩემპიონი გახდა, იუგოსლავიის ნაკრებში სლობოდან სანტრაჩმა არ მიიწვია.

მოამზადეს

გოგა ლომიძემ და გია ახალაძემ

NBA: მთავარი ორთაბრძოლა დღეს იწყება

3 ივნისს სოლტ-ლეიკ სიტიში ნბა-ს ფინალური სერიის პირველი მატჩი გაიმართება: დასავლეთის კონფერენციის გამარჯვებული „იუტა“ აღმოსავლეთის რჩეულებს „ჩიკაგოს“ უმასპინძლებს. სპეციალისტთა ვარაუდით, ამ ორთაბრძოლაში ერთგვარი უპირატესობა „იუტას“ მხარეზეა, ვინაიდან მას დასვენების მეტი დრო ჰქონდა — „ხარებმა“ მხოლოდ გუშინწინ გადამწყვეტ მატჩში სძლიეს „ინდიანას“ 88:83. აღსანიშნავია, რომ „ინდიანამ“ ბოლო ხუთ წელიწადში მესამედ წააგო აღმოსავლეთის კონფერენციის შვიდმატჩიანი ფინალი. რაც შეეხება „ჩიკაგოს“, იგი ფინალში ზედიზედ მესამედ მოხვდა. ამ მატჩში მაიკლ ჯორდანმა 28 ქულა დააგროვა. სულ კი პლეი-ოფების ისტორიაში მისი მონაგარია 5786 ქულა (24-ით მეტი, ვიდრე მეორე ადგილზე მყოფ ქარიმ აბდულ-ჯაბარს).

ხსოვნის ფურნირი

თასი — „კავკასიონს“

კრწანისის რაიონის სპორტკომიტეტის (თავმჯდომარე ამირან აფრიამაშვილი) თაოსნობით ორთაჭალაში „დიდი ხეივნის“ სტადიონზე ჩატარდა საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობისათვის აფხაზეთში დაღუპული მებრძოლის, ქ. თბილისის საფეხბურთო კლუბის „კავკასიონი-1992“-ის მწვრთნელ-მასწავლებლის გია შიხიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი VI ტრადიციული ტურნირი 15 წლის ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 12 გუნდი მონაწილეობდა. ტურნირი გია შიხიაშვილის დაბადების დღეს, 7 მაისს დაიწყო.

ნახევარფინალურ შეხვედრებში ტურნირის მასპინძლებმა „კავკასიონის“ გუნდმა დაამარცხა რუსთავის „მამული“ 2-1, ხოლო თბილისის „ქარაფმა“ — „შევარდენი-1906“ 3-1. ფინალური მატჩი „შევარდენის“ სტადიონზე გაიმართა. „კავკასიონმა“ დაბაბუო ბრძოლაში დაამარცხა „ქარაფი“ 1-0. გამარჯვებულს თასი გადასცა გია შიხიაშვილის დამ — მარინამ.

ცალკეული პრიზები დაიმსახურეს: საუკეთესო მეკარისა — ბექა გრძელიძემ („კავკასიონი“), მცველისა — გიორგი საკაძემ („შევარდენი-1992“), ნახევარმცველისა — გაგა ბითაძემ („ქარაფი“), თავდამსხმელისა — ლევან თურქიამ („შევარდენი-1906“), ბომბარდირისა — დათო შალვაშვილმა („კავკასიონი-1992“), მაყურებლის სიმპათიისა — კობა მეტრეველმა („ქარაფი“) და ბაჩანა მარგალიტაძემ („მამული“ — რუსთავი), ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელისა — ლევან ჯეშირაშვილმა, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელისა — ლევან გოგიაშვილმა („კავკასიონი“), ყველაზე ლამაზი გოლის — გოგა კოხიამ („ლოკომოტივი“), საუკეთესო გამთამაშებლის — პაატა ქათამაძემ („შევარდენი-1906“), ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელის — მიხეილ ხაჩიძემ („ქარაფი“).

პრიზები გადასცეს: საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა ზაზა ჯანაშიამ, საფეხბურთო კლუბის, „შევარდენი-1906“-ის დირექტორმა ბადრი მანწკავამ, ამირან აფრიამაშვილმა, „კავკასიონის“ გუნდის კონსულტანტმა გოდერძი ჩიხრაძემ.

გოგა ლომიძე



საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ყველაფერი ცნობილია — დაერჩენიც, დანინაურებულიც, გაპარდნილიც...

საბოლოო ცხრილები:

მეორე ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ	30	27	3	0	103-15	84
იბერია (სამტ.)	**30**	**23**	**4**	**3**	**76-18**	**73**
ივერია	30	21	4	5	75-26	67
კოლხეთი	30	18	3	9	69-50	57
აკადემია	30	17	4	9	74-35	50
ცხინვალი	30	15	4	11	64-35	49
მერცხალი	30	13	1	16	48-57	40
სქური	30	12	2	16	41-67	38
ფაზისი	30	11	5	14	55-56	38
მეშახტე	30	11	3	16	43-59	36
სამეგრელო	30	10	5	15	45-62	35
თორი	30	9	6	15	47-69	33
კოდაკო	30	9	3	18	37-59	30
იბერია (ქარ.)	30	8	4	18	41-65	23
იმერეთი	30	6	1	23	37-115	19
საპოვნელა	**30**	**3**	**2**	**25**	**27-99**	**11**

სფფ-დან შეგვატყობინეს, რომ მომავალი სეზონიდან მეორე ჯგუფში 18 გუნდი იასპარეზებს, ე.ი. ჯგუფი დატოვა „საპოვნელამ“ და მის ნაცვლად შემოვიდნენ მესამე ჯგუფის ზონებში გამარჯვებულები — „ფარელი“, „დინამო-2“ (თბ.) და „ენგური“.

მესამე ჯგუფი

ალმოსავლეთი ზონა

ყვარელი	**16**	**13**	**1**	**2**	**40-6**	**40**
ალგეთი	16	10	3	3	26-14	33
ალაზანი	16	8	3	5	25-12	27
ხალიბი-97	16	8	0	8	22-17	24
სამგორი	16	6	2	8	19-20	20
ჭაბუკიანი	16	6	2	8	19-20	20
შირაქი	16	5	3	8	22-25	18
იბერია (თბ.)	16	5	1	10	16-30	16
თელეთი	16	3	1	12	24-61	10

ცენტრალური ზონა

დინამო-2 (თბ.)	**18**	**14**	**2**	**2**	**54-14**	**44**
თსუ-2	18	11	4	3	46-20	37
მესხეთი	18	9	6	3	50-26	33
ლოკომოტივი-2	18	9	2	7	34-25	29
ქინერი	18	8	5	5	36-28	29
დილა-2	18	9	1	8	43-30	28
ბაია-ქასქი-ჯიქები	18	4	3	10	22-47	18
მრეტები	18	5	3	10	24-43	18
ვარძია	18	4	3	11	24-50	10
35 სკ-სტუ	18	1	1	16	8-59	4

დასავლეთი ზონა

ენგური	**20**	**17**	**3**	**0**	**54-11**	**54**
ეგრისი	20	15	2	3	43-25	47
გაგრა	20	9	3	8	42-30	30
შუქურა	20	8	6	6	28-30	30
ოდიში-2	20	8	4	8	25-22	28
ოქროს საწმისი	20	8	3	9	31-27	27
დინამო-2 (ბთ.)	20	6	7	7	26-25	25
ტორპედო-2	20	5	5	10	19-34	20
სამგურალი-2	20	4	4	12	23-37	16
სულორი	20	4	4	12	22-48	16
სალხინო	20	4	3	13	25-49	15

სხვადასხვა მერიდიანზე WORLDNEWS

ჰოკეი. ნჰლ-ში, დასავლეთის კონფერენციის ფინალში „დეტროიტ რედ ვინგზმა“ 3:2 სძლია „დალას სთარზს“ და წინაა სერიაში ანგარიშით 3-1. აღმოსავლეთის კონფერენციაშიც „ვაშინგტონ კაპიტალზი“ იგებს სერიას ასეთივე ანგარიშით. ფინალში, ალბათ, „ვაშინგტონი“ და „დეტროიტი“ ითამაშებენ.

ველოსპორტი. „ჯირო დ'იტალიას“ გათამაშებაში მორიგი ეტაპი უდინეს შტატში გაიმართა, სადაც ლიდერთა სამეული იტალიური აღმოჩნდა: ფონტანელი, ლეტინი, შირეა. საერთო ჩათვლაში პირველია გერმანელი ზულე, მეორე — რუსი ტონკოვი, მესამე — იტალიელი ბეტინი.

ბალახის ჰოკეი. ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში ვაჟთა და ქალთა შორის. ვაჟთა ასპარეზობაში ფინალში გავიდნენ მასპინძლები და ესპანელები. ძირითადი დრო ფრედ 2-2 დასრულდა, ხოლო დამატებით დროში ე.წ. „სადენ დეზის“ („უცაბედი სიკვდილი“) დროს ჰოლანდიელმა დე ნოიერმა გამარჯვების გოლი გაიტანა. ქალთა შორის ფინალში ავსტრალიელებმა მოუგეს ჰოლანდიელებს — 2-1.

გოლფი. გერმანიის ქალაქ ჰამბურგში გაიმართა „დოიჩ ბანკ ოფენის“ ტურნირი. გაიმარჯვა ამერიკელმა ვეტსვუდმა, მეორე ადგილზე ჩრდილოეთ ირლანდიელი კლარკი გავიდა, მესამეზე — ვესტვუდის თანამემამულე ო'მეარა.

კრიკეტი. ინდოეთის ქალაქ კალკუტაში ე.წ. „სამკუთხედის სერიის ფინალში“ მასპინძლებმა მოუგეს კენიელებს.

ავტოსპორტი. აშშ-ში გაიმართა შეჯიბრება ნასკარში, სადაც პირველი ჟარე იყო, მეორე — ბარტონი, მესამე — გორდონი.

კარტინგი. აშშ-ში, ვისკონსინის შტატში, გაიმართა Fedex კარტის „Miller lite 200“-ის რბოლა, რომელშიც გაიმარჯვა ამერიკელმა პილოტმა ჯიმი ვასერმა, მეორე ადგილზე გავიდა ბრაზილიელი კასტრო ნევესი, მესამეზე — ამერიკელი ალ ანსერ ჯუნიორი. რბოლაში ავარია შეემთხვათ ამერიკელ მრბოლ მაიკლ ანდრეტსა და კანადელ პატრიკ კარპენტიეს, მათ გარდა ტრასას გამოეთიშა კიდევ 12 პილოტი.

მოამზადა

გია ახალაძემ

პროფესიული კრივის ამბები

«დინოზავრების» პაექრობა?

როგორც ლარი ჰოლმსმა ეურნალისტებს განუცხადა, მან ხელი მოაწერა კონტრაქტს ჯორჯ ფორმენთან შეხვედრის შესახებ. ჰოლმსი 48 წლისაა, ფორმენი კი 49 წლის. როგორც ეურნალისტებმა შეიტყვეს, ამ მატჩისათვის ჰოლმსი 4 მილიონ დოლარს ჰიღებს, ფორმენი კი 10 მილიონს.

მატჩის ადგილი ჯერ შერჩეული არ არის. დაუდგენელია ზუსტი დროც: დაახლოებით 3 ოქტომბრიდან 10 იანვრამდე.

ჯორჯ ფორმენი მსოფლიო ჩემპიონი იყო 1973-74 წლებში. შემდეგ კრივს თავი დაანება და დაუბრუნდა მხოლოდ 1994 წელს, როცა მაიკლ მურერი დაამარცხა. 45 წლისა იგი კვლავ გახდა მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში ВБА-ИБФ-ს ვერსიებით.

ლარი ჰოლმსი 1978-85 წლებში მსოფლიო ჩემპიონი იყო იმავე ვერსიებით. შარშან, ივლისში, იგი შეხვდა მორის ჰარისს და გაიმარჯვა.

თავის პროფესიულ პრაქტიკაში ფორმენს ჩატარებული აქვს 76 მატჩი, აქედან წააგო სულ 5, 68-ჯერ კი ნოკაუტით გაიმარჯვა. ჰოლმსმა 66 მატჩში წააგო 6, 42-ჯერ კი ნოკაუტით გაიმარჯვა.

24 მატჩი — 24 მოგება

სანამ უზბეკეთში ცხოვრობდა, არტურ გრიგორიანი ნაკლებად ცნობილი მოკრივე იყო. ახლა იგი გერმანიაში დასახლდა და 61,2 კგ წონით კატეგორიაში გამოდის. აქ კი იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა WBO-ს ვერსიით. საინტერესოა, რომ დღეისათვის გრიგორიანს 24 გამართული მატჩიდან 24 მოგება აქვს. აქედან 15 ნოკაუტით. მისი უკანასკნელი მატჩი ჰამბურგში გაიმართა 1992 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ მარკო რუდოლფთან (გერმანია), რომელსაც ამ შეხვედრამდე ასევე ბრწყინვალე შედეგი — 14 ბრძოლიდან 14, მოგება ჰქონდა. ახლა კი რუდოლფმა პირველი მარცხი იგემა.

რამაზ გოგლიძე: „ახალი კაცის მოსვლა სფფ-ში ბევრს ზარავს“...

(პირველი გვერდიდან)

„გამოსული“ პიროვნება უნდა იყოს, რასაც არ ვეთანხმები. იგივე ფიფა-უეფას პრეზიდენტები სულაც არ ყოფილან ფეხბურთელები და, რა, ცუდად უძღვებიან მათდამი დაკისრებულ მოვალეობებს?

რაც შეეხება შეკითხვას: გაპრეზიდენტობის შემთხვევაში ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის საჭირო თანხებს საიდან იშოვითო – ბატონმა რამაზმა ორაზროვნად უპასუხა – ჯერ ერთი, ფიფა და უეფა ჩვენს ფედერაციას რამდენს ურიცხავს, ეს კაცმა არ იცის, ქართული ფეხბურთის ასაყვავებლად მეტი თუ არა, საკმარისი თანხა მაინც იქნება. სატრაბახოდ არ ჩამითვალოთ და კარგად ვიცნობ ფეხბურთის „მამებს“. იუჰანსონს, ბლატერს, აველანჟს, საზღვარგარეთ დიდი კონტაქტებიც ვაშენეთ. სამი მილიონი რუბლი მოვიზიდე საამისოდ. ჯერი თბილისზე მიდგა, გვეხმარებოდნენ უცხოელები – 250 ათასი დოლარის ჩეკს ხელში მაძლევდნენ, მაგრამ მე ისინი თბილისში მოვიწვიე, რათა ადგილზე გვენახა ტერიტორია და მეტი მინდოდა, მაგრამ მერე ქვეყანა აირია და ის თანხაც დავკარგეთ...

პრეზიდენტობის კანდიდატებს ჩივაძეს, დათუნაშვილს, ჟორდანიას, კარგად ვიცნობ. ზოგიერთი დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ათეული წლებია ფეხბურთთან შეხების წერტილი აღარ ჰქონია. დიდი ფეხბურთელობა და ორგანიზატორული ნიჭი სხვადასხვა მცნებებია. ჟორდანიას შესწევს უნარი, მით უმეტეს, გამოცდილებაც აქვს, რათა იტვირთოს ეს „ჭაპანი“, სწორედ ამიტომ ვიკავებ თავს ჩემი კანდიდატურის

ფოტო გადაღებულია 1985 წელს თბილისში, იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის დროს. მარცხნიდან: ყოაო აველანჟი, რამაზ გოგლიძე და იოზეპ ბლატერი. „ვითომ რით სჯობს იუპანსონი ბლატერს?“, – სვამს შეკითხვას ფიფას პრეზიდენტის არჩევნების წინ რამაზ გოგლიძე

მაქვს და ეს ბევრი პრობლემის გადაჭრაში დამეხმარება. ჩემს ცხოვრებაში სიტყვა არ გამიტეხია. ეს ყველამ იცის. ყოველთვის მხოლოდ იმას ვამბობ, რაც რეალურია და რისი გაკეთებაც ნამდვილად შემიძლია.

პირიანი კაცის მაგალითი: ახალგაზრდა რამაზ გოგლიძე არაერთხელ ყოფილა ყამირზე ახალგაზრდობისას სტუდენტებთან ერთად. „მშრალი კანონი“ იყო ყამირზე. ერთხელ ყაზახეთში პარტიის ცკ-ის პირველ მდივანთან კუნაევთან მოუხდა მისვლა, მასპინძელმა სასმელი შესთავაზა, მაგრამ რამაზმა უარი უთხრა – პირობა მაქვს მეგობრებისთვის მიცემული, რომ სასმელს არც მე გავეკარებიო.

რაც შეეხება თანხების შოვნას, მე ეს შემიძლია, და კიდევ შევძლებ. მაგალითს მოვიტან: კეტბურთის, სოფტბოლის და რუსული ლაპტის საბჭოთა ფედერაციის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი ვიყავი. მოსკოვში კეტბურთის მოედანი გაწამყენებაზე. რაც შეეხება ჩივაძეს, იგი ერთ-ერთ ღირსეულ კანდიდატად მეჩვენება, მაგრამ მან თუ შიდა პრობლემები ვერ მოაგვარა, ქართული ფეხბურთი იგივე სიბრტყეზე დარჩება.

ამის შემდგომ საუბარი ქართულ ფეხბურთში შექმნილ ვითარებას შეეხო. ჩვენში სპორტის ამ ნომერ პირველი სახეობის აღზევება თბილისის „დინამოთი“ დაიწყო, სადაც მოღვაწეობდნენ ეროვნული ფეხბურთის კორიფეები: ნოდარ ახალკაცი, დავით ყიფიანი, გივი ნოდია და სხვანი, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ერთია მხოლოდ. ეს პიროვნებები ოქროს ასოებით შევლენ ჩვენს საფეხბურთო მატიანეში. დღევანდელი სიტუაცია ყველასათვის ნათელია, ქართველ ერს დიდი პოტენცია მაქვს და ნორმალური პირობების შემთხვევაში კვლავ გვეყოლება მესხის, მეტრეველის, სხვათა დარი ფეხბურთელები.

თუ ქვეყანა ვერ მიხედავს ოთხ ძირითად მიმართულებას: განათლებას, კულტურას, ჯანმრთელობას და სპორტს, არაფერი გამოვა.

– შეკითხვაზე თუ პრეზიდენტი ვერ გახდება, მოადგილეობაზე ან სულაც გენერალური მდივნის პოსტზე თუ იტყვის უარს, გოგლიძემ უპასუხა: მე საერთოდ პირველობა მიყვარს და მეორე პლანზე ყოფნა არ მჩვევია, მაგრამ გამონაკლისს დავუშვებ იმ შემთხვევაში თუ ჩემს მიერ გადადგმული ნაბიჯი ეროვნულ, პატრიოტულ საქმეს გამოადგება, და მეორეც, პიროვნებას გააჩნია, თუ შევეწყობით და ერთმანეთის ძირეული აზრები დაემთხვევა, ასეთ შემთხვევაში უკან არ დავიხევ.

გოგლიძე ბოლოს ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელ მუშაობასაც შეეხო. ახალი პიროვნებების მოსვლა ამ აპარატის ზოგიერთ წარმომადგენელს და მიტმასნილ ჩინოვნიკებს აფრთხობს და აშინებს. სფფ „კაგებეზე“ უფრო დახურული ორგანიზაციაა, სადაც ყველაფერი გასაიდუმლოებული და მიუწვდომელია, არადა, პირიქით უნდა იყოს. დასამალი რა არის, ამ ორგანიზაციამ უნდა იაქტიუროს და ვალდებულიცაა ჟურნალისტებს, ობიექტური, დროული ინფორმაცია მიაწოდოს. ერთი სიტყვით, მასმედიის წარმომადგენლებისთვის სფფ-ს კარი ყოველთვის ღია უნდა იყოს. გარდა ამისა, მისი წესდებაც დასახვეწია. ამ დოკუმენტს სფფ თუ სერიოზულად არ გამოიყენებს, საფეხბურთო მეურნეობას წინსვლა არ ექნება. წესდების მოთხოვნების შესრულებითაც შეიძლება დიდძალი თანხების მოზიდვა. თავისუფლად შეიძლებოდა ფედერაციისა და სპორტის დეპარტამენტის კონფლიქტის თავიდან აცილება, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ასე არ მოხდა. „დინამო“ - „მრეტების“ აგორებული კონფლიქტი სულაც არ არის სასამართლოს პრეროგატივა, საბოლოო სიტყვა სფფ-ს ეკუთვნის, ის კი ჩუმად არის, დუმს, ხმას არ იღებს. რაც შეეხება „ჩაწყობილ თამაშებს“, ამას წინათ, გორის „დილას“ ფეხბურთელმა განაცხადა ჩაწყობილ შეხვედრებში მონაწილეობა მიმიღიაო, ანდა, რას გავდა IX ჩემპიონატის ბოლო ტური? ყველაფერ ამას, ბგონიათ გულშემატკივარი ვერ ხედავს? ფედერაცია კი ამაზეც თვალს ხუჭავს, ალბათ ამით ვინმე სარგებელობს კიდეც, არ ვიცი, ზუსტად ვერ გეტყვით, ერთი სიტყვით, კარდინალური ცვლილებებია გასატარებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში რაც გვაქვს, ისიც სანატრელი გაგვიხდება.

ჩაიწერა
გოგა ლომიძემ

საქართველოს სახელმწიფო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი სამახსოვრო პრიზს გადასცემს შოთა არველაძეს.

სეზონი დამთავრდა, ღირსეულებს პაზივს მიაგებენ

ტრადიციულად, მაისის ბოლოს, საფეხბურთო სეზონის დამთავრებისთანავე, სპორტული ჟურნალისტები რჩეულ მოთამაშეებს ავლენენ. გასულ კვირას ჯერ გაზეთმა „სარბიელმა“ დაასახელა წლის საუკეთესო ფეხბურთელი (შოთა არველაძე – ჰოლანდიის „აიაქსი“) და საქართველოში მოასპარეზე მოთამაშე (დავით მუჯირი – თბილისის „დინამო“), შემდეგ კი გაზეთმა „ალიამ“ და ფირმა „ვერიტამ“ სასტუმრო „საქართველოში“ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს თავის რჩეულებს: საქართველოს №1 მწვრთნელად დაასახელეს ვლადიმერ გუცაევი, საუკეთესო მეკარედ – ნიკა ტოგონიძე, საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად კი დავით მუჯირი სცნეს, ყველაზე ლამაზი გოლი გიორგი ქინქლაძისა ყოფილა ტუნისის ნაკრებთან მატჩში, ლეგიონერებში საუკეთესო, ცხადია, შოთა არველაძე გახდა, ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი – ლევან ხომერიკი, ჯენტლმენი მოთამაშის პრიზი ერგო გოჩა ჯამარაულს (იგი საზეიმო სადამოს საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა – 30 მაისს მას პატარა ლუკა ჯამარაული შეეძინა).

„ლელოს“ კორესპონდენტი გაესაუბრა საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანს გიორგი ნემსაძეს: „ეს არ არის ჩვეულებრივი შეხვედრა – ჩვენ აქ ჟურნალისტებთან დაახლოების სურვილმა მოგვიყვანა, ისინი დიდ და ხშირად უმადურ საქმიანობას ერთგულად ეწევიან, რისთვისაც ეროვნული გუნდის სახელით მათ მადლობა მინდა გადავცე... „ალიას“ და ფირმა „ვერიტას“ წამოწყება მისასალმებელია. ასეთი შეხვედრებით მშობლიური ხალხის სიყვარულს უფრო შეიგრძნობ, ძალა გემატება, საქმესაც მეტი პასუხისმგებლობით ეკიდები“.

მსაჯები ასპინძელებს აბუჩად გვიგდებენ...

ასპინძის „ვარძიამ“ ამას წინათ ყინვალის „ყინერს“ უმასპინძლა. თამაში თავისი წესითა და რიგით წარიმართა — არავითარი ექსცესი, არავითარი ზედმეტი სიტყვა. ასპინძელებმა ანგარიში გახსნეს და თავიანთი უპირატესობით დაამტკიცეს, რომ ამ დღეს მოგებას ხელიდან არ გაუშვებდნენ. სამწუხაროდ, თურმე ასე არ ფიქრობდა მსაჯთა ბრიგადა (მთავარი მსაჯი რ. ვერულაშვილი, გვერდითი მსაჯები გ. ფულადაშვილი, დ. ინდუაშვილი). სტუმრებს მისცეს შესაძლებლობა სათამაშო დროის გადამეტების ხარჯზე (თამაში გაგრძელდა 13 წუთის გადამეტებით) ანგარიში გაექვითათ. დარღვევა თამაშზე მოვლინებულმა კომისარმა (დელეგატმა) მ. კიკნაძემაც აღიარა. აი რა ჩაწერა მან ოქმში: „მე ვიყავი დელეგატი ქ. ასპინძაში 11 მაისს. თამაშის მეორე ნახევარში, მოხდა გაუგებრობა ასპინძელთა მიერ, როცა სტუმართა გუნდმა გაათანაბრა თამაში, გოლი გატანილი იქნა დამატებით დროში 96-ე წუთზე. სხვა შენიშვნები არა მაქვს. ჩემი აზრით, დრო გადამეტებული იყო, რაც მე უსაფუძვლოდ მიმაჩნია, რაზედაც ხელს ვაწერ. მ. კიკნაძე 11.V.1998 წელი“.

ოქმის შინაარსს გთავაზობთ ყოველგვარი კორექტირების გარეშე.

გვინდა ვიკითხოთ: როდემდე უნდა გაგრძელდეს მსაჯების შემოტევა და არა მარტო შემოტევა, ასპინძელი გულშემატკივრების აბუჩად აგდება არ კმარა ვითომ?

იქნებ მავანს სურს ასპინძაში სპორტული მოედნები პირუტყვის საბალახოდ ვაქციოთ?

ბ. ცინაძე,
ასპინძის რაიონის გამგეობის ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე

რედაქციისაგან: არ დავმალავთ: ჩვენი გაზეთი ყოველთვის იკავებს თავს ცხელ გულზე რედაქციაში გამოგზავნილი წერილების პუბლიკაციისაგან, მით უფრო, თუ საქმე ეხება მატჩის შედეგს და მსაჯობას. ამჯერად ამ წერილის სამსჯავროზე გამოტანა ორმა გარემოებამ გვიკარნახა: 1. წერილში მოტანილია კომისრის (დელეგატის) ზუსტი საოქმო ჩანაწერი; 2. წერილს ხელს აწერს რაიონში სპორტის ხელმძღვანელი მუშაკი.

თუ მსაჯი საჭიროდ ჩათვლის, აუცილებლად დავბეჭდავთ მის განმარტებას.

მსოფლიო ჩემპიონატების სტატისტიკიდან

„კლუბი 15“

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიის მანძილზე 30 ფეხბურთელმა შეძლო ფინალურ სტადიაში 15 და მეტი მატჩის ჩატარება:

21 მატჩი: უვე ზეელერი (გერმანია); ვლადისლავ ჟმუდა (პოლონეთი); დიეგო მარადონა (არგენტინა) და ლოტარ მათეუსი (გერმანია).

20 მატჩი: გეეგოშ ლიატო (პოლონეთი).

19 მატჩი: ვოლფგანგ ოვერატი (გერმანია); ბერტი ფოგთსი (გერმანია); კარლ-ჰაინც რუმენიგე (გერმანია).

18 მატჩი: ფრანც ბეკენბაური (გერმანია); ზეპ მაიერი (გერმანია); ტომას ბერტოლდი (გერმანია); პიერ ლიტბარსკი (გერმანია); მარიო კემპესი (არგენტინა); გაეტანო შირეა (იტალია).

17 მატჩი: კარლ-ჰაინც შნელინგერი (გერმანია); ანტონიო კაბრინი (იტალია); პიტერ შილტონი (ინგლისი).

16 მატჩი: ჟაირზინიო (ბრაზილია); დინო ძოფი (იტალია); ანდრეას ბრეგე (გერმანია); ზბიგნევ ბონეკი (პოლონეთი); ოსკარ რუჟერი (არგენტინა); იან კულემანსი (ბელგია).

15 მატჩი: დიდი (ბრაზილია); ნილტონ სანტოსი (ბრაზილია); ჰანს შეფერი (გერმანია); რობერტო რიველინო (ბრაზილია); მაქსიმ ბოსი (საფრანგეთი); რუდი ფიოლერი (გერმანია); ენცო შიფო (ბელგია).

საინტერესოა, რომ „კლუბ 15“-ში ვერ მოხვდნენ ის ფეხბურთელები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა 4 მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში (ჯალმა სანტოსი; პელე; რივერა; როჩა) და აღსანიშნავია, რომ ამ კლუბში ვერ მოხვდა ლეგენდარული მექსიკელი მეკარე ანტონიო კარბახალი, რომელმაც 5 ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა (მექსიკელის ვერ მოხვედრის მიზეზია ის, რომ მექსიკის ნაკრები ვერ გადიოდა ჯგუფური ეტაპიდან და ეთიშებოდა ასპარეზობას, ამიტომ კარბახალი ყოველ ჩემპიონატში ატარებდა 3 ან ნაკლებ მატჩს).

ჩატარებული მატჩების რეკორდი უკვე 28 წლისაა და პირველად ეს გერმანელმა უვე ზეელერმა შეძლო. მაგრამ ალბათ წლევანდელ ჩემპიონატზე დაემბობა რეკორდი, რადგან პირველივე ჩატარებული მატჩით ლოთარ მათეუსი გადაუსწრებს თანამემამულეს. გარდა ამისა, მათეუსი გაიმეორებს მექსიკელი მეკარის კარბახალის რეკორდსაც და ის იქნება მეორე ფეხბურთელი, ვინც მონაწილეობდა 5 მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში.

დღეს მოთამაშე ფეხბურთელებიდან „კლუბ 15“-ში მოხვედრის შანსი აქვთ. პაოლო მალდინის (ჩატარებული აქვს 14 მატჩი); ანდონი სუბისარეტას (13 მატჩი); რობერტო ბაჯოს (12); იურგენ კლინსმანს (12 მატჩი); დუნგას (11 მატჩი) და ფრენკი ვან დერ ელსტს (11 მატჩი).

ბომბარდირები:

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ყველაზე მეტი გოლი გაიტანა გერმანელმა გერდ მიულერმა — 14. მან ეს ორ ჩემპიონატში მოახერხა — 1970 წლის (10 გოლი) და 1974 წლის (4 გოლი). მიულერის შემდეგ მოდიან: ფრანგი ჟიუსტ ფონტენი რომელმაც 1958 წლის ჩემპიონატში გაიტანა 13 გოლი; ბრაზილიელი პელე — 12 გოლი (1958 — 6 გოლი; 1962 — 1 გოლი; 1966 — 1 გოლი; 1970 — 4 გოლი). უნგრელი შანდორ კოშიჩი — 11 გოლი (1954). 10-10 გოლი გაიტანეს: ჰელმუტ რანმა (გერმანია, 1954 — 5 გოლი 1958 წ. — 5 გოლი). გარი ლინეკერმა (ინგლისი) — 1986 (6)+1990 წ.(4); გეეგოჟ ლიატომ (პოლონეთი) — 1974(7)+1978(2)+ +1982(1); თეოფილა კუბილასმა (პერუ) — 1970(5)+1978(5). თანამედროვე ფეხბურთელებიდან გერდ მიულერის დაწვის ყველაზე კარგი შანსი აქვთ იურგენ კლინსმანს (გერმანია, — 8 ბურთი) და რობერტო ბაჯოს — (7 ბურთი).

ოქროს მფლობელები

განსაკუთრებული ადგილი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში უკავია იმ 12 ფეხბურთელს, რომლებმაც ოქროს მედლები მოიპოვეს რამდენიმეჯერ. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი — პელე (ბრაზილია) 1958, 62 და 70 წლები. ორგზის მსოფლიოს ჩემპიონები:

იტალიელები: ჯუზეპე მეაცა; ჯოვანი ფერარი და ერალდო მონცელიო, რომლებიც ჩემპიონები გახდნენ 1934 და 38 წლის ჩემპიონატებში.

ბრაზილიელები: ვავა; დიდი; ჟილმარი; ზაგალო; ზიტო; ჯალმა და ნილტონ სანტოსები და გარინჩა, რომლებიც ჩემპიონები გახდნენ 1958-62 წლის ჩემპიონატებში.

ხოლო რაც შეეხება არგენტინელ დანიელ პასარელას, ის მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1978 წელს, ხოლო 1986 წლის ჩემპიონატში ის იყო არგენტინელთა ნაკრების განაცხადში, მაგრამ არც ერთ მატჩში არ მიუღია მონაწილეობა.

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი

უვე ზეელერი (მარცხნივ) და გერდ მიულერი 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისელებთან მატჩის წინ

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

არგენტინელები

როცა ვონდიალი „პარადოქსალურ“ იცა

იმ შემადგენლობიდან, რომელიც 1982 წელს ესპანეთში თამაშობდა, ახალმა მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ თითქმის არავინ დატოვა გუნდში. ახლა, მისი აზრით, ყველაფერი მარადონას ფენომენს უნდა გადაეწყვიტა.

ბილარდოს ხელში ნაკრები სხვადასხვანაირად გამოიყურებოდა. 1984 წლის ამხანაგურ მატჩებში იგი ეფექტურად, ლამაზად თამაშობდა. აი მსოფლიო პირველობის შესარჩევ თამაშებში კი სხვანაირად მოქმედებდა: ირჩევდა „დახურულ“ ვარიანტებს, თანახმა იყო მოგებაზე თუნდაც ერთი ბურთის განსხვავებით.

„მთავარია შედეგი“ — აცხადებდა ბილარდო და ხაზს უსვამდა, რომ თუ 1986 წელს მექსიკაში ფიასკოს განიცდიდა, ამაზე პასუხისმგებლობას მხოლოდ თვითონ აიღებდა, არავის არაფერს დაუბრალებდა.

მთელი ჩემპიონატი არგენტინელებმა ისეთ აღმავლობით ჩაატარეს, რომ გადასაბრალებელ-გადმოსაბრალებელი აღარაფერი დარჩა.

კაპიტნის პოსტზე პასარელა მარადონამ შეცვალა.

პირველი მატჩი სამხრეთკორეელებთან არგენტინელებმა მოიგეს ანგარიშით 3-1 (მათგან 2 გოლი ვალდანომ გაიტანა, ერთი კი რუჯერიმ). მექსიკის ტელევიზიამ სპეციალური გადაცემა უძღვნა კორელების უაღრესად უხეშ თამაშს მარადონას წინააღმდეგ. „სამი გოლი და 10 უხეში თავდასხმა“ ეწოდა ამ კოლაჟს. დიქტორმა მაყურებლებს ასეთი კითხვით მიმართა: „რას იგრძნობდით, პაიც�ულო ტელემაყურებლებო, თქვენი შვილის წინააღმდეგ რომ ასე ეთამაშათ?“ აი, რა განაცხადა თვით მარადონამ: „ამ თამაშს ფეხბურთი კი ერქვა, მაგრამ სინამდვილეში ტეკონ დო იყო, კარატეს ნაირსახეობა. კორელელებისაგან ასეთ უხეშობას არ მოველოდი“.

არგენტინელთა ტრიუმფის მთავარი შემოქმედის დიეგო მარადონას შეხვრება მხოლოდ ამგვარად შეიძლებოდა.

არგენტინა — იტალია 1-1 (მარადონა). ორივე გუნდი ფაქტობრივად ფრეზე თანახმა იყო. მარადონა ამ დროს „ნაპოლიში“ თამაშობდა, ახლა მის საპირისპიროდ იტალიელებმა მისი თანაგუნდელი მეტად ხისტი თამაშით განთქმული ბანი გამოიყვანეს, რომელსაც ტიფოზები „რკინისებურ სალვატორეს“ უწოდებდნენ. ამჯერად სალვატორე სულაც არ უხეშობდა, მარადონას აშკარად ინდობდა. თამაშის შემდეგ მან იხუმრა: „ერთხელ, როცა მარადონა ჩემს გვერდით აღმოჩნდა, მან ასეთი სიტყვებით მომმართა: „სალვატორე, ხომ არ გავიწყდება, რომ მარტო არგენტინელებისა კი არა, შენი კაპიტანიც ვარ!“

თვით მარადონამ თამაშის შემდეგ განაცხადა: „ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება“.

არგენტინა — ბულგარეთი 2-0. ხომ დიდი შეუპოვრობით გამოირჩევიან ბულგარელები, მაგრამ ამ მატჩზე ეს არ ითქმოდა: ბულგარელები გრძნობდნენ, რომ ესოდენ ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდნენ და მხოლოდ ერთს ცდილობდნენ: დიდი ანგარიშით არ დამარცხებულიყვნენ. ამ მიზანს, თუ ამას მიზნად ჩავთვლით, კიდევაც მიაღწიეს: არგენტინელებმა სულ ორი გოლი გაიტანეს, რომლის ავტორები ვალდანო და ბურუჩაგა იყვნენ. მექსიკური გაზეთი „ელ უნივერსალი“ წერდა: „მოსაწყენი მატჩი, რომელშიც მარადონაც დაიკარგა და არგენტინის მთელი ნაკრებიც“.

არგენტინა — ურუგვაი 1-0 (პასკული). ეს მერვედფინალური მატჩი წინასწარ დიდ აჟიოტაჟს იწვევდა. კარლოს ბილარდომ შეხვედრის წინა დღეს განაცხადა: „ჩემი ბიჭების „სისტემა“ ასეთი იქნება: გამარჯვება ან სიკვდილი!“ მისმა ურუგვაელმა კოლეგამ ომარ ბორასმა კი თქვა: „როგორ დაემთხვა ჩვენი სიტყვები, ჩვენც ამნაირი ტაქტიკით ვაპირებთ თამაშს“. ლუის სესარ მენოტიმ მექსიკის ტელევიზიით გამოსვლისას ამ მატჩის ყურება არ ურჩია „ფეხმძიმე ქალებს“ და ყველა იმათ, ვისაც სუსტი ნერვები აქვს“.

ეს იყო ნამდვილი სამხრეთამერიკული მატჩი, სადაც იტალიელმა მსაჯმა ლუიჯი ანოლინმა მეტოქეებს 7 ყითელი ბარათი უჩვენა, აღნიშნა დარღვევის 97 (!) შემთხვევა. ამ „სასიკვდილო მატჩში“ დიდებულად თამაშობდა მარადონა. მან უჩვენა არა მარტო დიდებული დრიბლინგი, გადაცემის ოსტატობა, არამედ ნამდვილი თავდადებაც. იგი სულაც არ ერიდებოდა ისეთ შეხლა-შემოხლასაც კი, სადაც შეეძლო მძიმე ტრავმა მიეღო. ურუგვაელები ხომ მეტოქეებს არ ინდობდნენ. „პატარა ბუენოს აირესლმა პრინცმა ამ მატჩში პირველად დაამტკიცა, რომ ხელი გაიწვდინა პელეს გვირგვინისაკენ“ — წერდნენ მექსიკური გაზეთები. ისიც აღინიშნა, რომ არგენტინელებს, რომლებიც გაუთავებლად უტევდნენ, დიდი უპირატესობა ჰქონდათ.

ბუენოს-აირესის პოპულარულმა გაზეთმა „კლარინმა“ მსოფლიო ჩემპიონატზე მიავლინა არგენტინული ჟურნალისტიკის დუაიენი, 85 წლის დიეგო ლუსერო, ერთი იმ მცირეოდენი გულშემატკივრებიდან, რომლებიც მსოფლიოს ყველა, ცამეტივე პირველობას (!) ესწრებოდნენ. აი, რა განაცხადა მან მატჩის შემდეგ:

— ამ დღეს ზუსტად 56 წელი ვუცადე! მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის ფინალში ხომ სწორედ ურუგვაელებთან წავაგეთ, თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ წინ ვიყავით ანგარიშით 2-1. ახლა მარადონამ გამოასწორა ეს უსამართლობა. იგი ხომ ნამდვილად უდიდესი ფეხბურთელია!

არგენტინელთა საჩემპიონო გოლი. მარცხნიდან — ბრიგელი (№2), ბურუჩაგა (№7) და მეკარე შუმახერი

არგენტინა — ინგლისი 2-1. მატჩის წინ, პელეს, რომ იტყვიან, „ფუჭი გასროლა“ გამოუვიდა: „ჩემი ფავორიტი ინგლისია, იგი აუცილებლად გახდება მსოფლიო ჩემპიონი“. ამ მატჩის დასაწყისს ეს სულაც არ ეტყობოდა. ინგლისელებმა წინ ორი თავდამსხმელი ლინეკერი და ბერდსლი დატოვეს. მათ უკან ნამდვილი სიცარიელე წარმოიშვა. ინგლისელების ყველა დანარჩენ ფეხბურთელს მხოლოდ „ჩამშლელების“ როლი უნდა ეთამაშა. რას მოიტანდა ასეთი ტაქტიკა?!

51-ე წუთი. ვალდანომ ცენტრისკენ გადაწოდა ბურთი. მისკენ ერთდროულად დაიძრნენ შილტონი და მარადონა. მარადონამ მოიშველია ხელი და მისი დახმარებით ბურთი კარში გადაგზავნა. ტუნისელმა მსაჯმა ალი ბენასიორმა გოლი ჩათვალა. შილტონმა თავში წაიშინა ხელები. ეს რა ხდებაო...

55-ე წუთი. მარადონამ მინდვრის შუაგულში მიიღო ბურთი და დაიძრა წინ, განუმეორებელი ცრუ მოძრაობებით ჩამოიცილა 6 ინგლისელი მცველი თუ ნახევარმცველი, შემდეგ მეკარე შილტონიც. 100 ათას გულშემატკივარს „აცტეკას“ სტადიონზე ერთდროულად აღმოხდა „გო-ო-ო-ლ“-ი.

ინგლისის ტელევიზიის კომენტატორმა, წარსულში განთქმულმა თავდამსხმელმა ჯიმი გრივსმა განაცხადა:

— ქალბატონებო და ჯენტლმენებო! ყველაფერი დასრულდა. მარადონამ გაანადგურა ინგლისი, და, შესაძლებელია, პელეც.

რა თქმა უნდა, დიდი კამათი გამოიწვია პირველი გოლის საკითხმა. კარლოს ბილარდომ დიპლომატიურად განაცხადა: — ჩემი ადგილიდან კარგად არ ჩანდა, რა ვითარებაში გავიდა ეს გოლი. ინგლისელების მწვრთნელი ბობი რობსონი: — გაიმარჯვა უკეთესმა გუნდმა. განა ვინმეს ამშვიდებს ის გარემოება, რომ მარადონამ ხელის დახმარებით გამოგვთიშა შეჯიბრებიდან, რა სადავოა ის, რომ მარადონა დიდებული ფეხბურთელია.

არგენტინელთა მთავარი მწვრთნელი კარლოს ბილარდო თავის ბიჭებს ყოველთვის ზედმეტი ემოციების მოთოკვისაკენ მოუწოდებდა.

ახლა გადავხედოთ რა დაიწერა მეორე დღეს პრესაში:

„ხორნადა“ (მექსიკა). მარადონა — ინგლისი 2-1.

„ოვასიონეს“ (მექსიკა): ამ შეხვედრის გადამწყვეტ ძალას მარადონა ჰქვია.

„ესტო“ (მექსიკა): მარადონას მეორე გოლი სილამაზით რაკელ უელჩსაც კი სჯობდა.

„დეილი მეილი“ (ინგლისი): მარადონას ფანტასტიკურმა თამაშმა, ხელით იყო თუ ფეხით, ინგლისელებს გათამაშება დაატოვებინა.

„სანი“ (ინგლისი): გოლი ხელითაა გატანილი. ამას მილიონები ხედავდნენ.

„დეილი მირორი“ (ინგლისი): ხელით გატანილმა გოლმა ჩვენს მოთამაშეებს გულები დაუხეთქა, მექსიკას მარადონა დაამახსოვრდება არა როგორც ბრწყინვალე ფეხბურთელი, არამედ, ჩვეულებრივი მატყუარა.

დასავლეთგერმანული სააგენტო დპა: პირველი გოლი საუკუნის ტყუილი იყო, მეორე კი საუკუნის გოლი.

„სპორტსკე ნოვოსტი“ (იუგოსლავია): დიეგომ ხელის დარტყმით ნოკაუტში ჩააგდო ინგლისელები“.

„დი ველტი“ (გფრ): არგენტინელების კაპიტან მარადონას პელეს, ბეკენბაუერისა და დი სტეფანოს ყველა ღირსება აქვს ერთად აღებული.

„დანასი“ (იუგოსლავია): რომელია უკეთესი ფეხბურთელი — პელე თუ მარადონა? პელე არასოდეს გაუტანდა ინგლისელებს ხელბურთის გოლს. ეს პატარა თავისებურება ნამდვილ მეფეს განასხვავებს უზურპატორისაგან.

მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებიდან ექვსი თვის შემდეგ ერთ-ერთ კერძო იტალიურ სატელევიზიო არხზე გამოსვლისას მარადონამ აღიარა, რომ ბურთი ხელით გაიტანა: „ეს მე 30 მილიონი არგენტინელის გულისთვის გავაკეთე“.

არგენტინა — ბელგია 2-0. ნახევარფინალი. მარადონამ ამ მატჩში ორი გოლი გაიტანა, რომელსაც გენიალობის ბეჭედი ესვა“. მთელი 90 წუთი ტრიბუნებიდან მხოლოდ ერთი სახელი ისმოდა. ბელგიელმა მოთამაშეებმა პირველებმა შეასხეს ხოტბა თავიანთ „დამრბევს“. მეკარე პფაფი: „იგი სხვა პლანეტიდანაა“. კაპიტანი კულემანსი: „იგი ასთვალიანი არსებაა“. მწვრთნელი გი ტისი: „მსოფლიოს უძლიერესმა ფეხბურთელმა დაგვამარცხა. მარადონა რომ ჩვენი მოთამაშე ყოფილიყო, ამ ჩემპიონატს სრულიად იოლად მოვიგებდით“.

აი გაზეთების აზრიც:

„ულტიმა ნოტისიასი“ (მექსიკა): ამ ქვეყნად საოცრებები შესაძლებელია. საოცრებები მეორდება კიდეც.

„ოვასიონეს“ (მექსიკა): ღმერთს ფეხებიც აქვს.

„ეკიპი“ (საფრანგეთი): ფეხბურთის მოცარტის სიმფონია. ინგლისის შემდეგ მარადონამ ბელგიასაც მოუღო ბოლო.

„სპორტი“: (იუგოსლავია) ფენომენურმა მარადონამ ბელგიაც დაუშამთა.

„დერნიერ იორი“ (ბელგია): დიეგო-ო-ო-ო.

„ლე სუარი“ (ბელგია): მარადონამ ჩვენი ოცნებები დაასამარა.

„ლიბრ ბელჟიკი“ (ბელგია): 11 ბელგიელი „წითელი ეშმაკი“ და ერთი დიეგო. ნიჭიერი გაუჩო უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

არგენტინა — გფრ 3-2. „არგენტინის ნაკრები, კარგად თუ ცუდად, ხელით თუ ფეხით, ფინალამდე ერთმა კაცმა — მარადონამ, მისმა გენიამ მიიყვანა. დაწერეთ არგენტინა, წაიკითხეთ მარადონა. არგენტინა — ეს გახლავთ მეფე და მისი ათი ერთგული მსახური“.

ამ მატჩში გოლები არგენტინელებმა ბრაუნმა, ვალდანომ და ბურუჩაგამ გაიტანეს, გერმანელთაგან კი რუმენიგემ და ფიოლერმა.

„აცტეკას“ სტადიონი გამარჯვებულებს ასე მიესალმა: „არხენტინა კამპეონ, ვივა მარადონა“.

კითხვაზე, როგორ დამთავრდებოდა ფინალური მატჩი, მარადონა რომ გერმანელი ყოფილიყო, ბილარდომ ასე უპასუხა: „მადლობა ღმერთს, დიეგო არგენტინელია“.

* * *

4 წლის შემდეგ იტალიაში მარადონა, შეიძლება ითქვას, ისევ მარადონობდა, აი მისი „ერთგული მსახურნი“ კი უარესად გამოიყურებოდნენ. თუმცა აქ არავითარი ტრაგედია არ მომხდარა: მსოფლიოს ჩემპიონი ოდნავ ჩამოქვეითდა და ვიცე-ჩემპიონი გახდა. არგენტინელი გულშემატკივრები ხომ მაქსიმალისტები არიან. მეორე ადგილი, ასე გასინჯეთ, არც მათ ჩაუთვლიათ დიდ უბედურებად.

ახლა კი მატჩების შედეგები გავიხსენოთ: არგენტინა — კამერუნი 0-1. ამ შედეგმა შეძრა მთელი სპორტული სამყარო, მაგრამ მდგომარეობა მალე გამოსწორდა. არგენტინა — საბჭოთა კავშირი 2-0 (ტროგლიო, ბურუჩაგა). არგენტინა — რუმინეთი 1-1 (მენსონი). ასე იყო თუ ისე, არგენტინელები გავიდნენ მერვედფინალში, სადაც მე-80 წუთზე კანიჯას მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით სძლიეს ბრაზილიელებს, მეოთხედფინალში იუგოსლავიელებთან ჯერ 0-0 აღინიშნა, მაგრამ პენალტების სერია არგენტინელებმა უკეთ შეასრულეს. ნახევარფინალში იტალიელებთან ჯერ კვლავ ფრე — 1-1 აღინიშნა პენალტების სერიაში არგენტინელებმა კვლავ იმარჯვეს — 5-4.

ფინალური მატჩი 1990 წლის 8 ივლისს რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ გაიმართა 73603 მაყურებლის დასწრებით. აი გუნდების შემადგენლობა: არგენტინა — გოიკოეჩეა, რუჯერი (მენსონი), სიმონი, სერისელა, ბასუალდო, ბურუჩაგა (კალდერონი), მარადონა, ტროგლიო, სენსინი, დესოტი, ლორენსო.

გფრ — ილგნერი, ბრეგე, კოლერი, აუგენტალერი, ბუხვალდი, ბერთოლდი, (როიტერი), მათეუსი, ჰესლერი, ლიტბარსკი, ფიოლერი, კლინსმანი.

მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც 85-ე წუთზე ბრეგემ 11-მეტრიანით გაიტანა.

რომ მარადონა არა, არგენტინელები ამ ჩემპიონატში მეორე ადგილს ვერ დაიკავებდნენ.

* * *

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შემდეგ არგენტინელების მიერ მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში დაკავებული მეათე ადგილის შესახებ? ისინი კვლავ მარადონას იმედით იყვნენ, რომელმაც მართლაც ჩინებულად დაიწყო პირველობა, მაგრამ...

მარადონას დისკვალიფიკაციამ არგენტინელებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. მართლაცდა, ხომ არ შეიძლება ამდენი ხნის განმავლობაში სულ ერთ, თუნდაც გენიალურ მოთამაშეს შეჰყურებდე. ყოველივე ეს, ექსპერტების აზრით, კარგად გაითვალისწინა არგენტინელების ახალმა მწვრთნელმა დანიელ პასარელამ.

გივი გამრეკელი

ფოტოები „ლელოს“ არქივიდან

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 41, 42

ჩემპიონატები, ტურნირები...

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა ● ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი

ეს ტურნირი გაიმართა ირანში და ბავშვთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. ჩვენმა მწვრთნელებმა ასპარეზობაზე მიავლინეს საქართველოს მეორე ნაკრები, რათა მოსკოვის პირველი მსოფლიო ახალგაზრდული თამაშებისთვის საუკეთესოთა შერჩევის დამატებითი შესაძლებლობა გამოეყენებინათ. გუნდი ტურნირზე გაემგზავრა სპორტის დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის სახელით (დაფინანსებაც სასწავლებლისა იყო თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ოქროს მედალი წილად ხვდა ირაკლი კალანდაძეს (85 კგ, ოლიმპ. რეზ. სასწ.) ამავე სასწავლებლის მოსწავლე მიხეილ ჩიქოვანი (76) მეორე იყო, უჩა ყირიმელი (57) და თამაზ თოთიაური (63) – მესამე.

ვერცხლის მედალს დაეუფლა ხაშურელი ლევან რიკაძე (52.)

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მეორე პრიზიორი გახდა მარტყოფელი არჩილ გულიაშვილი (42), მესამე ადგილზე გავიდნენ ხობელი ლევან ესებუა (45, ოლ. რეზ. სასწ.), ქუთაისელი ზვიად გრძელიძე (52), თბილისელები პეტრე მეტრეველი (76), შალვა გადაბაძე (63), მარტყოფელი პაატა ჯამასპიშვილი (69).

არასრული შემადგენლობით ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში დაიკავა III ადგილი როგორც თავისუფალ, ისე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ამ ასაკის სპორტსმენთა ძირითადი ნაკრები ამ დღეებში თურქეთში იასპარეზებს ანალოგიურ საერთაშორისო ტურნირში.

იმუშავეთ ეფექტურად და ჩვენთან ერთად

ჩვენი დანადგარები დამონტაჟებულია ავტომასპარეზის სადგურებზე:
„საველიჩი", „სიერა'ოილი", „ეარს'ოილი", „ჯიოჩი", „დეეგრა"

თბილისის საწყობიდან:
ვულკანიზაციისა და ბალანსირების დანადგარები, კომპრესორები, 2,5 ტ. მანქანის ამწე, მაღალი წნევის ავტოსამრეცხაოები ორთქლით, ავტოაქსესუარები.

უფასოდ:
* შეფ-მონტაჟი
* სპეციალისტების სწავლება
* საგარანტიო მომსახურება

FAX. TEL: 23 00 96 2928 64 TEL. FAX.

ავტოსერვისის დანადგარების ექსკლუზიური იმპორტიორი. თბილისი, ჯავშავაძის 49.

ჩოგბურთი საერთაშორისო ტურნირი

რჩეულები ოთხი ქალაქიდან

ამ დღეებში, თბილისში, ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებმა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. მონაწილეთა შორის იყვნენ მოსკოვის, ერევნის, ბათუმის და თბილისის 1980-1990 წლებში დაბადებული რჩეული ჩოგბურთელი გოგონები და ჭაბუკები. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

კვარცხლბეკი:

გოგონები: 1980-83 წ.წ. დაბადებულნი. 1. ნ. ესებუა, 2. ნ. კაჭკაჭიშვილი, 3. ე. ქვანია (ყველა — თბილისი). 1984-85 წ.წ. დაბ.: 1. ს. მელიქიშვილი, 2. თ. ყვლაშვილი, 3. ნ. მეტრეველი (ყველა — თბილისი). 1986-87 წ.წ. დაბ.: 1. ს. მელიქიშვილი, 2. თ. კვარაცხელია, 3. ლ. დალაქიშვილი (ყველა — თბილისი). 1988-89 წ.წ. დაბ.: 1. თ. მიქაძე, 2. ა. ტატიშვილი, 3. ს. გველესიანი (ყველა — თბილისი); 1990 წ. დაბ: 1. ა. ტატიშვილი (თბილისი), 2. ზ. არუთინიანი (ერევანი), 3. ს. სიხარულიძე (თბილისი).

ჭაბუკები: 1980-81 წ.წ. დაბ: 1. რ. ნურმატოვი (მოსკოვი), 2. მ. ჩოხელი, 3. მ. ჩადუნელი (ორივე — თბილისი); 1982-83 წ.წ. დაბ: 1. დ. მურალიოვი (მოსკოვი), 2. გ. რევაზიშვილი, 3. ლ. წიკლაური (ორივე — თბილისი); 1984-85 წ.წ. დაბ: 1. ლ. ჯანაშია, 2. გ. დათაშვილი, 3. პ. ჩოხელი (სამივე — თბილისი); 1986-87 წ.წ. დაბ: 1. ლ. არველაძე, 2. დ. კვერნაძე, 3. გ. ასათიანი (სამივე — თბილისი), 1988-89 წ.წ. დაბ: 1. პ. აღაბალიანი, (ბათუმი), 2. გ. ქაშიბაძე, 3. მ. დარსაველიძე (ორივე — თბილისი); *1990 წ. დაბ:* 1. ლ. კუხალაშვილი, 2. გ. ზაალიშვილი, 3. მ. წკრიალაშვილი (სამივე — თბილისი).

თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადა

ისანი – გამარჯვებული

დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა 52-ე სპარტაკიადა. შეჯამდა საერთო გუნდური შედეგები რაიონებს შორის. პირველი ადგილი წილად ხვდა ისნის რაიონს – 123 ქულა, მეორეა ჩუღურეთის რაიონი – 122,5, მესამე – ვაკის რაიონი – 122.

თავისუფალი ჭიდაობა

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

ჩატარდა მსოფლიო თასის მფლობელის, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის როინ დობორჯგინიძის დაბადების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 1985-86 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის.



26 კგ: 1. მიგა მწითური (თბილისი), 2. ლევან პაპანდოპულო (ბოლნისი). 3. ბექა ბიჩინაშვილი (რუსთავი); *29 კგ:* 1. მურთაზ კვერნაძე (ქუთაისი), 2. კოკა კოტორაშვილი (თბილისი), 3. გიორგი გიგაური (გორი); *32 კგ:* – 1. გიორგი ციუელაშვილი, დავით ბუძული (ორივე – თბილისი), 3. გრიგოლ მარსაგიშვილი (უაზბეგი); *35 კგ:* 1. ზურაბ ზავარაშვილი (რუსთავი), 2. კობა მაქასარაშვილი (თბილისი), 3. გიორგი ცეცხლაძე (ქუთაისი); *38 კგ:* 1. ცოტნე ბარამიძე, 2. ზურაბ გუჩმაზოვი (ორივე — გორი), 3. ზურაბ კოტორაშვილი (თბილისი). *42 კგ:* 1. ბექა ბეშიძე (ამბროლაური), 2. ნადირა ხუციძე (უაზბეგი), 3. ირაკლი კამლაძე (თბილისი); *47 კგ:* 1. ნიკო გაგნიძე (თბილისი), 2. შოთა კუხაძე (ქუთაისი), 3. ოლეგ ბიწაძე (ხაშური); *53 კგ:* 1. ირაკლი კინწურაშვილი, 2. გია ჩიხლაძე (ორივე — ხონი), 3. ნუკრი ჯელაძე (თბილისი); *59 კგ:* 1. არჩილ ბარამიძე (გორი), 2. თემურ ქირიკაშვილი (უაზბეგი), 3. არსენ ბენდელიანი (ხონი); *66 კგ:* 1. არჩილ ხუციშვილი, 2. დავით კვანტალიანი (ორივე — თბილისი), 3. გიული წიკლაური (უაზბეგი); *73 კგ:* 1. ბაჩია კარანაძე (რუსთავი); 2. გიორგი ბერიაშვილი (თბილისი), 3. ზურაბ კოპაძე (ამბროლაური); *85 კგ:* 1. აკაკი ქსოვრელი, 2. ვანო ზუბიაშვილი (ორივე — თბილისი), 3. შოთა მარკოიშვილი (ონი).

საფეხბურთო მინდვრების მესაიდუმლე

ფეხბურთის სამყაროში მას კარგად იცნობენ — გივი აბრამიშვილი ხომ წლების მანძილზე სტადიონების მწვანე საფარის საუკეთესო სპეციალისტად ითვლება. საფეხბურთო გაზონის საიდუმლოებას ქართველ ოსტატზე უკეთ იშვიათად თუ ფლობდა ვინმე მთელს საბჭოთა კავშირში. დღეს უკვე 70 წლის ოსტატი, კვლავ ჩვეული ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს.

ახალდაბიდანაა წარმოშობით, ბორჯომის ახალდაბიდან. მერე მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ბევრჯერ ვუოფილვარ ლუჟნიკში მის სამუშაო ოთახში, სულ ერთთავად სხვადასხვა ბალახით რომაა სავსე. ზრდის და ელოლიავება შვილივით. რა ჯიშისას არ ნახავთ, რა სიმაღლისა, რა იერის!

— ბალახსაც ხომ ცოცხალ არსებასავით დღენიადაგ მოვლა-პატრონობა უნდა, გვეუბნება „ლუჟნიკის" ცენტრალური სტადიონის მთავარი სპეციალისტი გ. აბრამიშვილი — ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია უიმისოდ.

ვინ მოთვლის, რამდენი სტადიონისათვის „დაუგია" მწვანე საფარი ამ ოცდაწლმოსილ ადამიანს. არაფერი რომ არ ვთქვათ, თვით „ლუჟნიკზე", სადაც გივი აბრამიშვილი აი, უკვე რამდენი წელიწადია ყოველდღიურად უვლის. მის მინდორს. ამ შესანიშნავი სპეციალისტის ხელით დაეგო საფარი ყოფილი კავშირის მრავალ სტადიონს, მათ შორის, ცხადია, საქართველოშიც: თბილისსა და ლანჩხუთში, გორსა და ხაშურში, საჩხერეში, ვანში, სიღნაღში...

— განსაკუთრებით დიდი სიყვარულით ვამზადებდი თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის საფარს. გავუკეთეთ თანამედროვე დრენაჟი, განვაახლეთ ბალახი, — დასძენს ბატონი გივი — მას შემდეგ ორ ათეულ წელიწადზე მეტი გავიდა. ვფიქრობ, ფეხბურთელები დღესაც კმაყოფილნი არიან დინამოელთა სტადიონის მწვანე „ხალიჩით".

დავუმატებთ, რომ გივი აბრამიშვილი ხშირ-ხშირად ჩამოდის სამშობლოში, უპირველესად თავის საყვარელ „დინამოს" სტადიონს მიაშურებს ხოლმე, მოინახულებს ასე კარგად ნაცნობ ბალახს, კონსულტაციას უწევს სტადიონის დირექციას, ადგილობრივ სპეციალისტებს, ასე იყო ამ დღეებშიც.

ბატონი გივი დიდი სტადიონების მწვანე ხალიჩის ჭეშმარიტი ტრფიალი და მესაიდუმლე გახლავთ.

ოთარ ნოზაძე

გამოხმაურება

წერილი რედაქციას!

გვიჭირს გარდაბანსაც და მერე როგორ...



გულდასმით გავეცანით „ლელოს" 41-ე ნომერში გამოქვეყნებულ საგანგაშო წერილს „ქვემო ქართლის გამგებლებს არ აწყენდათ კარგად წაეკითხათ სულხანსაბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა" და გვინდა გაცნობოთ, რომ ის სატკივარი, რაზედაც წერილშია ლაპარაკი, ჩვენც, გარდაბნელებსაც გვეხება. სამწუხაროდ, თქვენს რედაქციამდე ჩვენი გაჭირვება ვერ მოვიტანეთ და ალბათ ამიტომაც არაა ქვემო ქართლის რაიონების ჩამონათვალში ნახსენები ჩვენი რაიონი. ახლა გადავწყვიტეთ შეგაწუხოთ. უაღრესად უჭირს სპორტულ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით სპორტსკოლას. სახსრებს არავინ იძლევა, მოზარდები ვერ მიჰყავთ შეჯიბრებებზე. არადა, ხომ იცით, ჩვენი რაიონი, როგორი სახელიანი იყო სპორტით მთელს საქართველოში. იქნებ გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელებსაც მიაწვდინოთ ხმა, რომ მთლად ნუ დაივიწყებენ სპორტს, ნუ ჩაკლავენ ტრადიციებს, ნუ უბიძგებენ მოზარდებს ქუჩისკენ და სიგლახისკენ. ამ წერილს გწერთ იმ იმედით, რომ გამოაქვეყნებთ თქვენს გაზეთში. დროა ყველამ იგრძნოს პასუხისმგებლობა ქართული სპორტისა და მომავალი თაობის წინაშე.

პატივისცემით
სპორტსმენების მშობელთა სახელით (34 ხელმოწერა)

ქუთაისში გაპოდარგას ელიან

ეს დღეები რიონისპირეთში გადაუდებლად წვიმს. ენერგეტიკოსებს ეს ამბავი, ცხადია, ახარებთ – ჰიდროელექტროსადგურები მთელი ძალით იმუშავებენ და დენის პრობლემა ძირითადში გადაიჭრებაო. სამაგიეროდ, უამინდობამ საგონებელში ჩააგდო ქუთაითური ფეხბურთის მესვეურები: როგორც იქნა, ეღირსათ და „ტორპედომ" ევროტურნირზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა, ახლა ყველაფერი ქალაქის სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციების მარიფათზეა დამოკიდებული – სწრაფად მოაწესრიგებენ თუ არა „გივი კილაძის" სახელობის სტადიონს, მაგრამ წვიმა სამუშაოთა ტემპს საგრძნობლად აფერხებს.

როგორც ქუთაისიდან შეგვატყობინეს, ბოლო კვირაა სტადიონმა მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა: შერემონტდა და შეიღება სკამები, ადმინისტრაციულ კორპუსში ჩაისვა ახალი კარ-ფანჯრები, კეთილმოეწყო 50-ადგილიანი პრეს-ლოჟაც. ქუთაისის სატრაქტორო ქარხანაში დამზადებული სამი ათას სავარძელს დღე-დღეზე დაამონტაჟებენ. გამოიდარებს თუარა, სტადიონის სახურავს ფისით გაჟღენთილ ფრანგულ მუყაოს გადააკრავენ.

ადრე გულშემატკივრებს ვაუწყეთ, რომ იმერული გუნდის პირველი მეტოქე ინტერტოტოს თასზე სომხური კლუბი იქნებაო – ასე დაგვაწყვილა უეფაში ჩატარებულმა კენჭისყრამ. ეგაა, ზუსტად არ ვიცოდით, რომელ გუნდს შეხვდებოდა „ტორპედო". გუშინწინ სფფ-ში მიიღეს ცნობა, რომ ეს გუნდი ერევნის „ერებუნია." განრიგის მიხედვით ქუთაისელები ჯერ საკუთარ მინდორზე (თუ უეფას საგანგებო კომისიამ „გივი კილაძის" სახელობის სტადიონს მწვანე შუქი აუნთო) მიიღებენ მეტოქეს, შემდეგ კი, კვირისთავზე საპასუხო შეხვედრა ერევნის „რაზდანზე" გაიმართება.

ბოლნისელი გულშემატკივრები: ფსონა გვერდზე გადავდოთ, ერთად ვიღვაწოთ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ! (პირველი გვერდიდან)

ძელი, გამჭოლი პასით იგი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ საჯარიმოში ჩაწოდება არჩია, იქ კი მისიანი არავინ აღმოჩნდა. ქობულაშვილს კვლავ შეეძლო გოლის გატანა შეხვედრის 70-ე წუთზე, მაგრამ მეკარემ იყოჩადა. მერე ხაშურელთა უპირატესობა უეცრად გაქრა და პირველ ჯგუფში ასპარეზობის გამოცდილების ხარჯზე „სიონმა" დარჩენილ დროში სადავეებიც ხელთ იგდო, თუმცა, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. დამატებითი დროც უშედეგოდ დასრულდა და ჯერი პენალტებზე მიდგა: ქობულაშვილი 1-0, თვალაბეიშვილი 1-1, ჯიკაევი 2-1, სამხარაძე 2-2, ტილავაშვილი 3-2, შაკიაშვილი 3-3, მინაძე 3-3, ფოფხაძე 3-4, ბაბულაიძე 3-4, მინაძისა და ბაბულაიძის უხეიროდ შესრულებულმა თერთმეტმეტრიანმა დარტყმებმა „სიონი" I ჯგუფში დატოვა, მათი გუნდი კი კვლავ მეორე ლიგაში იასპარეზებს, რამდენ ხანს? ამას მომავალი გვიჩვენებს.

გოგა ლომიძე

ამ დაძაბულ, დრამატიზმით აღსავსე მატჩს თან ახლდა უჩვეულო ფონი – ორივე გუნდის გულშემატკივართა ჭიდილი. თუ მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ფრე ყველაზე ლოგიკური შედეგი იყო, ქომაგობაში ქვემოქართლელებს ბადალი არ ჰყავდათ: ასეთი გულშემატკივრობა თვით ტიფოზებსაც კი შეშურდებათ. საქმე იქამდესაც კი მივიდა, ბოლნისის გამგებელი „სიონის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა ფეხბურთელებისა და მწვრთნელების გვერდით და მათთან ერთად იზიარებდა ბრძოლის პერიპეტიებს (შესაშური მაგალითია, თუმცა დებულებით ამის დაშვება არ შეიძლება!). შეიძლება ვცდებთ, მაგრამ შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ სწორედ ასეთი ერთსულოვნება დააკლდა „ივერიას" საბოლოო მიზნის მისაღწევად.

მატჩის შემდეგ „ლელოს" კორესპონდენტებმა გულთბილად მიულოცეს „სიონის" ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს გამარჯვება. მაგრამ იმ წუთებში ბოლნისელთა რიგებში მაინც იყო გამორჩეულად ბედნიერი ადამიანი მერან ჯაფარიძე – სფფ-ის აღმასკომის ყოფილი წევრი. იგი კრიტიკულ წუთებში მუდამ გუნდთანაა. ახლაც პლეიოფის პირველ ეტაპზე „გურიასთან" მარცხის შემდეგ, ბიჭებს დახმარება აღუთქვა და ოთხდღიან შეკრებაზე რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ყველანაირი პირობა შეუქმნა, რათა „ივერიასთან" საასპარეზოდ კარგად მომზადებულიყვნენ: „თავად ნახეთ, ფეხბურთელებმა გამარჯვების მისაღწევად ყველაფერი გაიღეს. აი, რას ნიშნავს ერთ მუშტად შეკვრა. ასეთ ძალისხმევას არ შეიძლება შედეგი არ გამოეღო".

ზემოთ ერთგული ბოლნისელი გულშემატკივრები ვახსენეთ. მატჩის შემდეგ ხმაწასულებმა ძლივს გაგვიზიარეს გულისნადები. ვაჟა მეტრეველი, მშენებელი ინჟინერი: „სამართალმა ჯერ ჭამა, რომ არა დაკლებულმა ხუთმა ქულამ, ასეთ განსაცდელში არ ჩავვარდებოდით. ორი სეზონია ზოგიერთი ვაი-გულშემატკივრის უდისციპლინობის გამო, გუნდი ხარალდება, ეს შეიძლება სპეციალურად გამოზნული პროვაკაციაცაა, მაგრამ რაიონში ფეხბურთი ძალიან უყვართ და „სიონს" ყოველთვის გვერდში დაეუდგებიან. ქვემო ქართლი სპეციფიკური რეგიონია და, აქედან გამომდინარე, აქაური გუნდებისთვის გადაწყვეტილებების ვამოტანისას მეტი სიფაქიზე გვმართებს. ბოლნისელი გულშემატკივრების აზრით, სფფ-მ უმართლებლად დასაჯა „სიონი", რის გამოც ხალხი გაღიზიანდა და ფედერაციის ნებისმიერ ნაბიჯს ეჭვით უყურებს. მოდით, ყველამ გვერდზე გადავდოთ ამბიციები და ერთად ვიღვაწოთ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ".

ჭადრაკის ახალი ამბები

პრეტენდენტები ესპანეთში თამაშობენ

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩი ვლადიმირ კრამნიკსა (რუსეთი) და ალექსეი შიროვს (ესპანეთი) შორის, რომელიც ესპანეთის ქალაქ კასარლაში მიმდინარეობს, გადამწყვეტ ფაზაში შედის.

ჯერჯერობით არ მართლდება იმ ექსპერტების აზრი, რომლებიც კრამნიკის გამარჯვებას მოელოდნენ. პირიქით...

პირველი სამი პარტიის შემდეგ აღინიშნა თანაბარი ანგარში: 1,5:1,5. შეხვედრები დიდი შინაგანი დრამატიზმით ხასიათდებოდა, მაგრამ ვერც ერთი მხარე ვერ აღწევდა უპირატესობას.

აი მეოთხე პარტიაში კი, უპირატესობას თეთრებით მოთამაშე შიროვმა მიაღწია, რომელმაც რთულ კომბინაციურ თამაშში, რაც ესოდენ ემარჯვება, შეძლო მეტოქის წინააღმდეგობის გატეხვა და დაწინაურდა – 2,5:1,5.

„პრეზიდენტის თასს“ ივანჩუკი დაეუფლა

ელისტაში დასრულდა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც „პრეზიდენტის თასი“ ჰქვია. იგი ყალმუხეთისა და ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვის ინიციატივით მოეწყო. მასში 9 ქვეყნის 32 მოჭადრაკე მონაწილეობდა, აქედან ოცს 2600-ზე მეტი რეიტინგი ჰქონდა.

მძაფრი ბრძოლის შემდეგ ფინალში გავიდნენ ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) და ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი). მატჩი, რომელიც ოთხი შეხვედრისაგან შედგებოდა, მოიგო ივანჩუკმა ანგარიშით 2,5:1,5 (მოგება და სამი ყაიმი). იგი „პრეზიდენტის თასთან“ ერთად 15 ათასი დოლარითაც დაჯილდოვდა, ხალიფმანმა კი 12 ათასი დოლარი მიიღო.

პროტესტს არ ითვალისწინებენ

როგორც ფიდეს სამდივნო იუწყება, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ქალთა შორის მსოფლიოს ექსჩემპიონ სიუ ჟუნსა (ჩინეთი) და ალისა გალიამოვას (რუსეთი) შორის 8-23 აგვისტოს გაიმართება ჩინეთში და მისი საპრიზო ფონდი 120 ათასი დოლარი იქნება.

გალიამოვამ უარი განაცხადა ჩინეთში თამაშზე, მაგრამ მის პროტესტს არ ითვალისწინებენ. ფიდეს განცხადებით, მატჩი უნდა გაიმართოს იქ, სადაც ყველაზე დიდი საპრიზო ფონდია შექმნილი. ასეთი კი პეკინშია უზრუნველყოფილი, სხვა რეალური ვარიანტები არავის წარმოუდგენია.

„ბობი ფიშერი დღეს“

ასე ეწოდება გერმანელ პუბლიცისტ ივ კრაუსჰაარის ახალ წიგნს, რომელიც „რატმან-ფერლაგმა“ გამოაქვეყნა. აქ მკითხველი ახლა უკვე „ბუდაპეშტელი განდეგილის“ შესახებ ბევრ საყურადღებოს შეიტყობს. ისევე, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრებისას, ფიშერს ახლაც ჰყავს მეგობრების მეტად ვიწრო წრე, რომელშიც კვლავ შეუძლებელია შეღწევა.

რას აკეთებს დღეს ფიშერი? იგი, ისევე, როგორც ამ ბოლო წლებში, კვლავ „ფიშერენდომის“ საკითხებითაა დაკავებული. გაგახსენებთ – „ფიშერენდომი“ ჭადრაკის ნაირსახეობაა, სადაც ფიგურები განსხვავებულ უჯრედებზეა განლაგებული, და, ამდენად, ახლანდელი საჭადრაკო თეორია ყოველგვარ აზრს ჰკარგავს.



იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — ალდგენილი ჯანმრთელობა!

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.

„ზოგი-ლოგი“ – მოთამაშეთა სიხარული!

31 მაისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მეოთხე გათამაშებით.

«ლოტო 6–42»-ის ტირაჟში მონაწილეობდა **50109** ვარიანტი, საპრიზო ფონდი შეადგენდა **6263** ლარს.

მოგებახვედრილი რიცხვები: **2. 4. 8. 15. 19. 24**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. ამ ჯგუფის გაუთამაშებელი საპრიზო ფონდი 38.433 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

5 ციფრი ამოიცნო ოთხმა მოთამაშემ – თითოეულს შეხვდა 234.80 ლარი.

4 ციფრი ამოიცნო 120-მა მოთამაშემ, თითოეულს – 10.40 ლარი.

3 ციფრი ამოიცნო 1512-მა მოთამაშემ, თითოეულს – 1.40 ლარი.

„სუპერ-7“-ის გათამაშებაში მონაწილეობდა **6032** ბილეთი, მომგებიანი ციფრებია: **7991594**

4 ციფრი დაემთხვა 1 ბილეთში, მოგება – 500 ლარი.

3 ციფრი დაემთხვა 6 ბილეთში, თითოეულს – 50 ლარი.

2 ციფრი – 50 ბილეთში, თითოეულს – 3 ლარი.

1 ციფრი – 507 ბილეთში, თითოეულს – 0.50 ლარი.

ტირაჟის სატელევიზიო შოუში გათამაშდა შემდეგი პრიზები:

საფრანგეთში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე დასასწრები საგზური – დავით ვაშაკიძე (სამტრედია);

ტელევიზორი – მიშიკო იოსებაშვილი (თბილისი);

ტელევიზორი – მერაბ კოტარია (თბილისი);

ტელევიზორი – დავით კანდელაკიშვილი (თბილისი);

ტელევიზორი – რეზო კეთილაძე (ხონი);

მუსიკალური ცენტრი – მიხეილ სულაძე (თბილისი);

ელექტროღუმელი – ზაზა კანდელაკი (თბილისი);

მაჯის საათი – ნუგზარ ლონდარიძე (ბორჯომი).

შემდეგი ტირაჟი შედგება 7 ივნისს, ჯეკ-პოტი **38443** ლარია.

ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

ამერიკელების კრახი „როლან გაროსში“

„როლან გაროსზე“ შეჯიბრება მხოლოდ ახლა ცხარდება, მაგრამ მრავალი მოულოდნელობა უკვე მოხდა. ეტყობა, მთავარია ესოდენ ძლიერი ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟების სრულიად გაუთვალისწინებელი კრახი. ამაზე მეტი ამერიკელებისათვის რაღა უნდა მომხდარიყო: 13 მოთამაშედან პირველი ორი წრის შემდეგ უკვე გამოეთხოვა შეჯიბრებას 12, მათ შორის ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორნიც არიან ანდრე აგასი, ჯიმ კურიე, რომლებიც ოდესღაც მსოფლიოში უძლიერესებიც კი იყვნენ, ტოდ მარტინი, მაიკლ ჩანგი და თვით პიტ სამპრასიც კი. დარჩა მხოლოდ ნორჩი ჟან-მიშელ გამბილი.

ვინ იფიქრებდა, რომ მსოფლიო რეიტინგ-ლისტში 98-ე ადგილზე მყოფი პარაგვაელი რამონ დელგადო ასე დამჯერებლად მოუგებდა პიტ სამპრასს – 7:6, 6:3, 6:4. აი სამპრასის პესიმისტური განცხადებაც: „ამ კორტებზე უოველ წელს გამოვდივარ. ჩემი შესაძლებლობები სულ უფრო მცირდება. მიმაჩნდა, რომ ტურნირისათვის კარგად მოვემზადე. ამიტომაც ასე გამამწარა დამარცხებამ. რამდენს ვვარჯიშობ, მაგრამ სად არის შედეგი“. ვინ იცნობდა რეიტინგ-ლისტში 213-ე ახალგაზრდა არგენტინელ მარი-ზაბალეტას, ის კი ადგა და თვით მეორედ განთესილ გაწოქმულ ჩეხ პეტრ კორდას მოუგო: 6:0, 6:2, 3:6, 4:6, 6:3. ეს დამარცხება რომ არა, კორდას შესაძლებლობა ჰქონდა ამ შეჯიბრების შემდეგ „რეიტინგ-ლისტში“ პიტ სამპრასისათვის გაესწრო, პირველ ადგილზე გადასულიყო. რუსეთის წარმომადგენელი 18 წლის მარატ საფინი „რეიტინგ-ლისტში“ 116-ე ადგილზეა, მაგრამ შეძლო ანდრე აგასის დამრცხება – 5:7, 6:2, 3:6, 6:2; შემდეგ კი გუსტავო კუერტენთანაც გაიმარჯვა.

მას შემდეგ, რაც შეჯიბრება არაერთმა ფავორიტმა დატოვა, ახლა პირველი ადგილის მთავარ პრეტენდენტად მარსელო რიოსი (ჩილე) ითვლება, რომელსაც ისევ მიეცა შესაძლებლობა სათავეში მოექცეს „რეიტინგ-ლისტს“. მან მესამე წრეში მნიშვნელოვანი მატჩი მოუგო ესპანელ ალბერტო კოსტას.

ქალთა შორის რაიმე დიდი მოულოდნელობა არ მომხდარა. კვლავინდებურად მთავარი ფავორიტია მარტინა ჰინგისი (შვეიცარია), უახლოესი მეტოქეები კი ლანდრეი დევენპორტი (აშშ), არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) და იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) არიან.



თანაზულად: 5. რაგბში: შეტევის ნაირსახეობა, 6. „ხელსის“ იტალიელი ლეგიონერი, 11. 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინელი ფეხბურთელი, 12, „ლაციოს“ ფეხბურთელი *(ფოტო)*, 13. 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 16. 80-იანი წლების „ლივერპულის“ აფრიკელი მეკარე, 17. ქართველი ტყვეის მსროლელი, 18. 70-80-იანი წლების ფორმულა-1-ის ავსტრიელი პილოტი, 19. „აიაქსის“ ფეხბურთელი, 20. რუსეთის საფეხბურთო ეროვნული ნაკრების ფორვარდი, 21. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის უხეშად მოთამაშე ინგლისელი ფეხბურთელი, 24. წარსულში ცნობილი ინგლისელი მორბენალი, 25. „მანჩესტერის“ მცველი, 26. სოკრატესის ძმა, 30-29. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 30-31. მესტენდურეთია სარბელი, 33-32. უახლოეს წარსულში იტალიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი *(ფოტო)*, 33-34. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 35. 80-იანი წლების ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 38-39. რუმინელი მეკარე *(ფოტო)*, 40-39. ნიგერიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 41-42. ფიზიკური ვარჯიში, რომლის მიზანია გამარჯვების მიღწევა, 43-42. წარსულში ცნობილი აშშ მოცურავე, 44. ფრე, 45. 70-იანი წლების ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 47. მძლეოსნური ინვენტარი 52. 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ურუგვაელი მეკარე, 55. სამხრეთ აფრიკის საფეხბურთო ნაკრების მეტსახელი, 57. წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მეკარე, 59. სპორტის მძლეოსნური სახეობა, 61. „რეალის“ ახალგაზრდა თავდამსხმელი, 62. „მანჩესტერის“ ნორვეგიელი ფეხბურთელი, 63. ცნობილი ირანელი თავდამსხმელი *(ფოტო)*, 64. 50-იანი წლების საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი, 65. ახლო წარსულში ცნობილი რუსი მორბენალი ქალი, 66. სარაგბო ბურთის ფორმა, 67. 80-იანი წლების კამერუნის საფეხბურთო ნაკრების მეკარე.

შვეულად: 1. ბილიარდში: თამაშის სახეობა, 2. „სამპდორიას“ ნახევარმცველი, 3. თანაგუნდელი, 4. ამერიკელი დიდოსტატი ვაჟი, 8. 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 8. „იუვენტუსის“ თავდამსხმელი, 50-იან წლებში ინგლისის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი და კაპიტანი. 10. ნბა-ს ლოსანჯელესელი ვარსკვლავი, 13. მრბოლი ანუ.... 14. 1966 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ნიგერიელი ფეხბურთელი, 15. შოთა არველაძის კლუბი, 22. „იუვენტუსის“ ურუგვაელი მცველი *(ფოტო)*, 23. ხორვატიის საფეხბურთო კლუბი, 27. წარსულში ცნობილი მოცურავე, ფილმ „ტარზანის“ მთავარი როლის შემსრულებელი, 28. ნორვეგიის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი, 36. ფეხბურთში ცენტრალური მცველი, 37. „სამპდორიას“ თავდამსხმელი, 46. ტერმინი ბილიარდში, 48. უკრაინის საფეხბურთო კლუბი, 49. „ინტერის“ ბრაზილიელი ლეგიონერი, 50. 80-იანი წლების ცნობილი რუსი ჰოკეისტი, 51. უახლოეს წარსულში იტალიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 53. 60-იანი წლების გფრ-ის ნაკრების მეკარე, 54. სპორტის ზამთრის ოლიმპიური სახეობა, 56. „არსენალის“ ფრანგი ლეგიონერი, 57. „ინდიანას“ კალათბურთელი, 58. რუსეთში მოღვაწე ქართველი საფეხბურთო მწვრთნელი, 60. სპორტის სახეობა

შეადგინა
დიმა ჯიჯელავამ (თბილისი)

საფეხბურთო კროსვორდის პასუხები:

თანაზულად: 1. კანჯა, 3. მიატოვიჩი, 5. ზაგალო, 8. რიდლე, 11. ანთაძე, 12. „ბორდო“, 14. ანტიჩი, 16. ბაქანიძე, 17. ეფერალდო, 20. ვიერი, 22. „ოსერი“, 25-26. გვარდიოლა, 26. ასანოვიჩი, 27. ილინი, 29. ტაიბი, 30. ამაისაა, 32. რაკანელი, 33. მოლინა, 35. ამორი, 36. ელბერი, 39 ჯაჩი, 41. იაშინი, 43. „იუვენტუსი“, 44. იურანი. **შვეულად:** 1. კოლინა, 2. არტიმე, 3. მახარაძე, 4. იამანიძე, 5. ზამორა, 6. ოლსენი, 9-26. დარასელია, 12. ბესტი, 13. ოტერო, 16. ბატისტუტა, 18. ოვერმარსი, 19. გოგია, 20. ვიალი, 23. ივიჩი, 24. დეინა, 26. ალბერტოზი, 28. ივბოა, 29. ტაიბი, 31. არდილესი, 32. რიციტელი, 33. „ბილანი“, 34. არტური, 36. ენჩოსი, 37. ინბაგი.

დიაგონალურად: 11-2. „ალანია“, 7-21. ზეელერი, 22-10. ოვერატი, 5-15. ზამერი, 38-28. „არარატი“, 33-42. მაიერი, 29-40. ტარდელი, 44-37. „ინტერი“.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

სპორტი ციხეში ეკრანზე

3 ივნისი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია: *ობერა.* „ბურთი და მოედანი“ (11.40; 21.10). *კაგკასია.* „ვარსკვლავები“ (17.45). *საქართველოს ხმა.* პლეიოფი (19.45). „მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები“ (0.00). *VII არხი.* „მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავები“ (8.35). ჰოკეი (9.10). *OPT-1.* ჩოგბურთი. როლან გაროსი (14.05; 0.25). ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი: „ლოკომოტივი“ – „დინამო“ (19.00). *HTB.* რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (1.10). *HTB плюс спорт.* ჭადრაკი (8.05). ჰოკეი. სტენლის თასი (9.10). ფეხბურთი: „სპარტაკი“ (მოსკოვი) – „დინამო“ (კიევი) (12.10). რუსეთის ჩემპიონატი (22.15). ჩოგბურთი როლან გაროსი (13.55). კრიკეი (0.40).

EUROSPORT. ავტოსპორტი (10.30, 11.30). მოტოსპორტი (13.00). ჩოგბურთი (14.00; 18.00; 19.00). ველოსპორტი (18.30). ფეხბურთი: ესპანეთი – ჩრდ. ირლანდია (23.00).

4 ივნისი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია: *ობერა.* „ბურთი და მოედანი“ (11.40; 21.10). *კაგკასია.* „ვარსკვლავები“ (17.45). *საქართველოს ხმა.* „პლეიოფი“ (12.45). კალათბურთი (21.15). „მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები“ (0.00). *VII არხი.* კალათბური. ნბა-ს ჩემპიონატი (10.10). ლათინური ამერიკის ჩემპიონატის მიმოხილვა (20.00). *OPT-1.* ჩოგბურთი. როლან გაროსი (14.05; 0.25). *PTP.* ნბა-ს ჩემპიონატი (1.00). *HTB плюс спорт.* ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი (8.15; 12.45). ფეხბურთი. ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატები (20.00), ფეხბურთი (0.25), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (10.10; 21.15). ჭადრაკი (23.15). *EUROSPORT.* მოტოსპორტი (10.30; 14.30; 2.00). ფეხბურთი. ესპანეთი – ჩრდ ირლანდია (12.00). ჩოგბურთი. როლან გაროსი (16.00, 1.00) ველოსპორტი (14.00; 20.00).

5 ივნისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია: *I არხი.* ლეილა მესხი (18.35). „ასპარეზი“ (21.15). *II არხი.* რაგბის მოყვარულთათვის (20.00). *ობერა.* „ბურთი და მოედანი“ (11.45; 21.10). *კაგკასია.* „ვარსკვლავები“. (17.45). *საქართველოს ხმა.* „მსოფლიოს სტადიონებზე“ (20.00; 0.00). *VII არხი.* ჰოკეი. სტენლის თასი (9.20; 20.15). *OPT*-1. ჩოგბურთი. როლან გაროსი (14.05). *PTP.* ფრენბურთი. რუსეთი-იუგოსლავია (1.15). *HTB.* საფეხბურთო კლუბი (18.25). *HTB плюс спорт.* ჭადრაკი (7,05; 8.40; 23.35). ჰოკეი. სტენლის თასი (9.20; 20.15; 1.10). ჩოგბურთი (14,55). *EUROSPORT.* აფროსნობა (10.30), მძლეოსნობა (11.00). ავტო-სპორტი (12.00; 23.00). ჩოგბურთი (15.00; 2.00). ფეხბურთი (22.00). გოლფი (1.00).

ჭემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის თანამშრომელი

იოსებ არეშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ხელბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ყოფილ ხელბურთელს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს თამაზ თევზაძეს დედის გარდაცვალების გამო.

საჭადრაკო ამოცანა

ბ. იბნატენკო (რუსეთი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ...მფd4 2. ...
1. ...მფd6 2. ...
1. ...მფf4 2. ...
1. ...მფf6 2. ...

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინტერნერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე